3137

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი 8 აპრილი 1941 წ. № 82 (6087) ფასი 15 კაპ.

სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება

გუშინ მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. ამ ხელშეკრულების ტექსტი გამოქვეყნებულია „პრავდის“ დღევანდელ ნომერში.

როგორც ხელშეკრულების 1 და 2 მუხლიდან სჩანს, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ურთიერთ კისრულობს თავი შეიკავოს ყოველგვარი თავდასხმისაგან ერთმანეთის მიმართ და პატივი სცეს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის დამოუკიდებლობას, სუვერენულ უფლებებსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდებ ერთერთ მხარეს თავს დაესხმის მესამე სახელმწიფო, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე ვალდებულებას კისრულობს დაიცვას პირველისადმი მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკა.

სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი არა თუ ღირსშესანიშნავი მოვლენა იქნება ორივე სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის, არამედ აგრეთვე აღბეჭდავს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მთავრობათა საერთო ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშვიდობიანობის განმტკიცება და ომის გავრცელების თავიდან აცილება.

სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება დაიწყო 1940 წლის მაისში, როცა წინასწარი მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ, აგრეთვე თანდართული ოქმი სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის შესახებ იუგოსლავიაში და იუგოსლავიის დროებითი სავაჭრო დელეგაციის შესახებ სსრ კავშირში და შეთანხმება 1940-1941 წლ. საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ. სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომმა განვითარებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით, რაც 1940 წლის 25 ივნისს მოხდა. ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის 1940 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე აღნიშნა, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება „მოხდა იუგოსლავიის მთავრობის წინადადებით, რაც ხალისით იქნა მიღებული საბჭოთა კავშირის მიერ“. ამასთან ამხ. მოლოტოვმა დასძინა: „შეიძლება ვიმედოვნებდეთ, რომ თანდათან განვითარდება ჩვენი ეკონომიური ურთიერთობაც იუგოსლავიასთან“.

მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ხელმოწერა მოწმობს, რომ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობა მტკიცე საფუძველზეა დამყარებული. საბჭოთა კავშირი, ერთგული თავისი თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკისა, მტკიცედ იცავს სტალინურ პრინციპს, რომელიც ამბობს:

„ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგავართ და ვიდგებით ამ პოზიციაზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები“.

იუგოსლავიასთან დადებული ხელშეკრულების ხელმოწერა სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ამ ძირითად პრინციპს.

იუგოსლავიაში მომხდარმა უკანასკნელმა ამბებმა სავსებით ცხადჰყო, რომ იუგოსლავიის ხალხები მშვიდობიანობისაკენ ისწრაფვიან და არა სურთ ომი და ქვეყნის ჩათრევა ომის ქარცეცხლში. მრავალი დემონსტრაციისა და მიტინგის გზით იუგოსლავიის მოსახლეობის ფართო ფენებმა გამოთქვეს თავიანთი პროტესტი ცვეტკოვიჩის მთავრობის საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ომის ორბიტში ჩაბმის საფრთხეს უქმნიდა იუგოსლავიას. ახალი მთავრობა, რომელსაც გენერალი სიმოვიჩი მეთაურობს, ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე გამოვიდა განცხადებით, სადაც სავსებით გარკვეულად და ხაზგასმით აღნიშნა თავისი მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ და ყველა სახელმწიფოსთან, უწინარეს ყოვლისა, იუგოსლავიის მეზობლებთან, მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებისაკენ. ამბების განვითარებამ დაგვანახვა აგრეთვე, რომ საშინაო პოლიტიკის დარგში სიმოვიჩის მთავრობა ამოცანად ისახავს ქვეყნის შინაურ ძალთა კონსოლიდაციას. მის ამ მისწრაფებას ისე, როგორც მის საგარეო პოლიტიკას, მხარს უჭერს ხალხის უმრავლესობა.

იუგოსლავიის მიერ მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ხელმოწერა დამაჯერებელი საბუთია იმისა, რომ იუგოსლავიის მთავრობა ისწრაფვის მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ და ომის გავრცელების თავიდან აცილებისაკენ.

იუგოსლავიასთან დადებული მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულების ხელმოწერა საბჭოთა კავშირის მიერ ახალი გამოხატულებაა ურყევი საბჭოთა სამშვიდობო პოლიტიკისა, რომელიც ხორციელდება რთულ და დაძაბულ საერთაშორისო პირობებში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გაჩაღებისა და გაფართოების პერიოდში.

მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ახალი პაქტი, დადებული საბჭოთა კავშირის მიერ, საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში შევა, როგორც მშვიდობიანობის მკაფიო დოკუმენტი, როგორც იმის საბუთი, რომ საბჭოთა კავშირი აქტიურად იბრძვის მშვიდობიანობისათვის. საბჭოთა კავშირის მშრომელნი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდებიან ცნობას ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ, რაც განამტკიცებს სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრულ ურთიერთობას და ხელს უწყობს მშვიდობიანობის განმტკიცებას და ომის გაფართოების თავიდან აცილებას.

„პრავდის“ მოწინავე, 6/IV.

კომკავშირელთა მასობრივი შეჯიბრება ტანვარჯიშში

ტანვარჯიში ადამიანში ზრდის ისეთ ძვირფას თვისებებს, როგორიც არის სიმამაცე, გამბედაობა, ფიზიკური სიძლიერე და მოქნილობა. სწორედ ამიტომ ამჟამად მიმდინარე კომკავშირელთა მასობრივი ტანვარჯიშული შეჯიბრება საბჭოთა ფიზკულტურის განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს.

საბჭოთა ახალგაზრდობა მოძღომებით ეუფლება სპორტს და განსაკუთრებით კი სპორტის სამხედრო გამოყენებითს სახეებს. მაგალითად, წითელი არმიის XXIII წლისთავის სახელობის კომკავშირელთა მასობრივმა კროსმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია და მასში მონაწილეობა მიიღო 6.120.000 კაცმა, აქედან მათ სათხილამურო და ქვეითი ნორმები წარმატებით ჩააბარა 5.197.243 კაცმა.

ასევე დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ კომკავშირელები საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას კომკავშირელთა სრულიად - საკავშირო მასობრივი ტანვარჯიშული შეჯიბრების ჩატარების შესახებ.

საქართველოში, რომელსაც ტანვარჯიშის დარგში მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მოწინავე ადგილი უკავია, ჩამოყალიბებულია 22.000 გუნდი და 6-დან 20 აპრილამდე შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს 200.000-ზე მეტი ტანმოვარჯიშე - კომკავშირელი. ეს უდავოდ მნიშვნელოვანი ციფრია, მაგრამ ახლა მთავარია საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ისე წარმართონ მუშაობა, რომ მიაღწიონ საუკეთესო ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კომკავშირელთა მასობრივი ტანვარჯიშული შეჯიბრება ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების კიდევ უფრო ფართოდ გაშლისა და ღრმად დანერგვის დასაწყისია. კომკავშირელთა ტანვარჯიშული შეჯიბრების საუკეთესოდ ჩატარება საშუალებას მოგვცემს ძირფესვიანად აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ ახასიათებენ ტანვარჯიშულ სპორტს საქართველოში.

საჭიროა ამთავითვე ფართო გასაქანი მიეცეს და სათანადო დახმარება გაეწიოს ტანვარჯიშული შეჯიბრების მონაწილე კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც შეჯიბრებასთან დაკავშირებით თავიანთი ინიციატივით აწყობენ სასპორტო მოედნებს, აწარმოებენ სასპორტო დარბაზებისა და იარაღების შეკეთებას, აკომპლექტებენ ახალ გუნდებს და სხვ.

კომკავშირულმა და სასპორტო ორგანიზაციებმა ყოველივე ღონე უნდა იხმარონ, რათა ცხოვრებაში გაატარონ საბჭოთა კავშირის მარშლის ს. მ. ბუდიონის მითითება, რომ აუცილებელია კომკავშირელები „არ დაკმაყოფილდნენ მასობრივი ტანვარჯიშული შეჯიბრებების მხოლოდ ჩატარებით, არამედ გამოიყენონ ეს შეჯიბრებები, როგორც დასაწყისი დიდი და სერიოზული მუშაობისა, თანდათანობით გადავიდნენ ახლა მოცემული უმარტივესი სპორტულ-ტანვარჯიშული ვარჯიშებიდან სამხედრო-გამოყენებითი ტანვარჯიშის შესწავლასა და სპორტულ - ტანვარჯიშული ოსტატობის დაუფლებაზე“.

ასეთია ამოცანა. ამ ამოცანის შესრულება საქართველოს ყველა კომკავშირელის, ყველა ახალგაზრდის ღირსებისა და სახელის საქმეა.

თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო-სათხილამურო შეჯიბრება

1.658.000 მონაწილე

დამთავრდა თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო-სათხილამურო საგუნდო შეჯიბრება, მიძღვნილი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის XXIII წლისთავისადმი. ამ შეჯიბრებით თავდაცვა-ავიაქიმელებმა შეაჯამეს გასულ ზამთარში წარმოებული სამხედრო-სათხილამურო მომზადების შედეგები.

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოში მიღებული წინასწარი ცნობებით, შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა საზოგადოების 1.653.000 წევრი, მათგან 420.672 კაცმა მოახდინა ქვეითი გადასვლა 25 და 35 კილომეტრ დისტანციაზე. მეორე საფეხურის ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის“ სათხილამურო ნორმები სულ 556.000 კაცმა ჩააბარა.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა 1.350.000 სნაიპერი, ვოროშილოვისებური მსროლელი და მეორე საფეხურის მხედარი, მეტყვიამფრქვევე, აეროკლუბის პარაშუტისტი, პლანერისტი და კურსანტი.

ყველაზე უკეთ ჩაატარა შეჯიბრება მოსკოვის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამ. აქ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 124.000 კაცმა. ლენინგრადის თავდაცვა-ავიაქიმელებმა გამოიყვანეს 87.000-ზე მეტი კაცი.

15 აპრილს სსრ კავშირის თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი შეაჯამებს საბოლოო შედეგებს და გარდამავალ წითელ დროშებს მიაკუთვნებს იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს თავდაცვა-ავიაქიმის სამხედრო-სათხილამურო შეჯიბრებაში.

(საკდესი).

თავდაცვა-ავიაქიმის ტაქტიკური წვრთნის 100.000 მონაწილე

ბრძოლა „მტრის“ პარაშუტისტებთან

პოდოლსკი (მოსკოვის ოლქი), 6 აპრილი (საკდესის სპეცკორესპონდენტისაგან). დღეს გრძელდებოდა მოსკოვის ოლქის 25 რაიონისა და ქალაქის მცხოვრებთა დიდი ტაქტიკური წვრთნა. ჯერ კიდევ ღამით აქ ხელმძღვანელობის შტაბისაგან მიღებული იყო ცნობა, რომ საჰაერო „მტერი“ თავდასასხმელად ემზადება. თავდაცვის უფროსებმა დაუყოვნებლივ შეკრიბეს თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ქვედანაყოფი, დააყენეს საველე ყარაულები.

პოდოლსკის მისასვლელებთან შეიარაღებულმა რაზმებმა ალყა შემოარტყეს დიდ მინდორს, სადაც საპარაშუტო დესანტების გადმოსხმა შეიძლებოდა. ტყეში და ხევებში კარგად ჩასაფრდნენ ორჯონიკიძის სახელობის ქარხნისა და მექანიკური ქარხნის თავდაცვა-ავიაქიმელი მეომრები.

ქარიანი და ღრუბლიანი ამინდი იყო, წვიმა დაიწყო. მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა ავიაციას თავისი ამოცანის განხორციელებაში. მალე გამოჩნდნენ თვითმფრინავები. შუაგულ მინდორში მათ გადმოსხეს პარაშუტისტთა ჯგუფი. საჰაერო მეომრებმა სწრაფად აკეცეს პარაშუტები და ტყისაკენ გაემართნენ. მოულოდნელად სროლა ატყდა. პარაშუტისტები კოლმეურნეთა მზვერავებს წააწყდნენ. ბრძოლა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. კოლმეურნეთა და მუშათა შეიარაღებულმა რაზმებმა მალე დაიმორჩილეს „მტერი“.

დილის 10 საათზე საპარაშუტო დესანტებთან ბრძოლა წვრთნის მთელ რაიონში გაჩაღდა. განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ რამენსკოეს რაიონის თავდაცვა-ავიაქიმელთა რაზმები. ადგილობრივ მონადირეთა ჯგუფმა იკისრა საზვერავი სამსახური. თამამი და მარჯვე მონადირე მზვერავები საუცხოოდ ერკვეოდნენ ადგილმდებარეობაში, უხმაუროდ და შეუმჩნევლად მიმოდიოდნენ და ძვირფას ცნობებს გვაწვდიდნენ.

რაიონებისა და ქალაქების მცხოვრებლებმა გვიჩვენეს თავიანთი სიყვარული სამხედრო საქმისადმი. ზაგორსკის, დიმიტროვის, კომუნისტურისა და სხვა რაიონების თავდაცვა-ავიაქიმელები, რომელნიც კარგად იყვნენ შეიარაღებულნი და რომლებმაც მტკიცედ იცოდნენ თავიანთი ტაქტიკური ამოცანები, წარმატებით ებრძოდნენ საპარაშუტო დესანტებს. კარგი სასპორტო და სამხედრო მომზადების ნიმუშები გვიჩვენა პოდოლსკის რაიონის სოფელ მეშჩერსკოეს ახალგაზრდობამ.

„მოწინააღმდეგის“ საპარაშუტო დესანტებთან ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 100.000 კაცმა. ტაქტიკურ წვრთნას ესწრებოდა სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე, ავიაციის გენერალ-მაიორი კობელევი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ი. ს. ზოტოვი** გაათავისუფლა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობისაგან ფინეთში. (საკდესი).

მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის

იმ მოლაპარაკების შედეგად, რაც უკანასკნელი დღეების განმავლობაში მოსკოვში სწარმოებდა, 5 აპრილს ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ.

ქვემოთ მოყვანილია ხელშეკრულების ტექსტი.

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იუგოსლავიის სამეფოს შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მისმა უდიდებულესობამ იუგოსლავიის მეფემ, რომლებსაც ამოძრავებს ამ ორ ქვეყანას შორის არსებული მეგობრობა და რომლებიც დარწმუნებული არიან იმაში, რომ მათს საერთო ინტერესებს მშვიდობიანობის შენარჩუნება წარმოადგენს, გადასწყვიტეს დასდონ ხელშეკრულება მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ და ამ მიზნით თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს —

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა —

ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი;

მისმა უდიდებულესობამ იუგოსლავიის მეფემ —

მილან გავრილოვიჩი, იუგოსლავიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი,

ბოჟინ სიმიჩი და

დრაგუტინ სავიჩი, პოლკოვნიკი,

რომელი რწმუნებულნიც, მას შემდეგ, რაც მათ ერთმანეთს წარუდგინეს თავიანთი რწმუნებანი, რომლებიც სათანადო ფორმით შედგენილი და ჯეროვან წესრიგში აღმოჩნდა, შესთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ურთიერთ კისრულობს თავი შეიკავოს ყოველგვარი თავდასხმისაგან ერთმანეთის მიმართ და პატივი სცეს სსრ კავშირის და იუგოსლავიის დამოუკიდებლობას, სუვერენულ უფლებებსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

მუხლი 2.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდებ ერთერთ მხარეს თავს დაესხმის მესამე სახელმწიფო, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე ვალდებულებას კისრულობს დაიცვას პირველისადმი მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკა.

მუხლი 3.

ეს ხელშეკრულება დადებულია ხუთი წლის ვადით.

უკეთუ ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარე საჭიროდ არა სცნობს მოახდინოს ამ ხელშეკრულების დენონსირება დაწესებული ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე, ეს ხელშეკრულება ავტომატურად განაგრძობს მოქმედებას შემდგომი ხუთი წლისათვის.

მუხლი 4.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან. ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მოკლე ვადაში. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა უნდა მოხდეს ბელგრადში.

მუხლი 5.

ხელშეკრულება შედგენილია ორ ორიგინალად რუსულ და სერბულ-ხორვატულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

მოსკოვი, 1941 წლის 5 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებულებით

ვ. მოლოტოვი.

მისი უდიდებულესობის იუგოსლავიის მეფის რწმუნებულებით

მ. გავრილოვიჩი

ბოჟინ სიმიჩი

დ. სავიჩი.

არქტიკის მაღალ განედებში

თვითმფრინავ „სსსრ ნ-169“-ის ბანაკი, 5 აპრილი (საკდესის სპეცკორი). 7 დღე-ღამეს თვითმფრინავი ვრანგელის კუნძულზე იყო გაჩერებული თოვლიანი 10-ბალიანი შტორმისა და ყინვის გამო, რაც 25 გრადუსს აღწევდა. მხოლოდ 2 აპრილს საღამოს ქარის ძალა 6 ბალზე ჩამოვიდა.

გეზი ჩრდილოეთისაკენ

21 საათზე (მოსკოვის დროით) ძრავდატვირთულმა საჰაერო ხომალდმა „სსრ ნ-169“, რომელსაც მფრინავი ი. ი. ჩერევიჩნი მართავდა, დასტოვა სტუმართმოყვარე კუნძული. თავდაპირველად ჩვენი გზა ნაპირის გასწვრივ მიდიოდა. მოგვიხდა 1000 მეტრზე მეტი სიმაღლის მთების შემოვლა. აფრენის 40 წუთის შემდეგ შტურმანმა აკურატოვმა გენერალური გეზი აიღო. ძირს, თვითმფრინავის ფრთებქვეშ, ცივი პოლარული მზის სხივებში თვალის მომჭრელად ლაპლაპებდა მძიმე კოპიტოვანი ყინული. ხანდახან გამოჩნდებოდა სუფთა წყლის ყინულთგასაყარი, სადაც ნისლი ადიოდა... ერთმანეთს ეხეთქებოდა ახუხულავებული ვეება ყინულები.

მანქანა დიდ სიმაღლეზე მიდიოდა. ძლიერი პირისა და გვერდის ქარი თვალსაჩინოდ ამცირებდა სიჩქარეს. ხომალდის მეთაურმა საჭე მე გადმომცა და გადავიდა შტურმანის კაიუტში, სადაც გეზს ადევნებდნენ თვალყურს. თვითმფრინავის ბოლო ჩრდილავდა დაბალ მზეს. ეს ხელს უშლიდა კოორდინატების ზუსტად გამორკვევას. მაგრამ შტურმანმა ოსტატურად გამოიყენა პოლარული აერონავიგაციის ყველა მეთოდი, — და თვითმფრინავი მტკიცედ გაემართა მიზნისაკენ...

კოპიტებსა და ყინულთ-გასაყარებზე

75 პარალელია. ოკეანის სივრცე დაფარულია მრავალწლოვანი ზოდება ყინულებით. ხარბად დავცქერით გამოუკვლეველ ყინულოვან უდაბნოს. ჩრდილოეთის განედის 78 გრადუს შემდეგ გამოჩნდა ყინულთგასაყარები, რაც თანდათან მატულობდა. ეს ყინულთგასაყარები გადაჭიმულია მრავალ მილ მანძილზე სამხრეთით, ჩრდილოეთით, დასავლეთითა და აღმოსავლეთით.

...3 აპრილს, 3 საათსა და 29 წუთზე თვითმფრინავი მივიდა დასახულ მიზანთან. მაგრამ ყინული ძირდასაშვებად გამოსადეგი არ აღმოჩნდა. კვლავ გეზით მივდივართ. წინ სჩანს დიდი ყინულიანი მინდვრები, რომლებზედაც აჩხორილია უზარმაზარი კოპიტები. ასეთ პირობებში ძირდაშვებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

ყინულზე დაშვება

მაგრამ აი გამოჩნდა კარგი ყინულოვანი მინდორი. მთელი ეკიპაჟი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს თავის მომავალ მოდრეიფე აეროდრომს. აკურატოვი ცვამლის ყუმბარას აგდებს ქარის მიმართულების გამოსარკვევად. ჩერევიჩნის მტკიცედ მიჰყავს თვითმფრინავი ძირდასაშვებად. ახერგილ კოპიტოვან ყინულს იქით მანქანა მსუბუქად ეხება ღრმა თოვლს. უკვე დავეშვით ძირს.

რადისტ მაკაროვს განუწყვეტლივ აქვს დამყარებული კავშირი მატერიკის რადიოსადგურებთან, ატყობინებს მათ გადაფრენის თვითეული ეტაპის შესახებ.

სიფრთხილის გამო მოტორებს არ ვაჩერებთ. მათი გუგუნი შორს იფანტება მიჩუმებულ სივრცეში. ექსპედიციის მონაწილენი ისწრაფვიან დაათვალიერონ მინდორი, დარწმუნდნენ, რომ იგი საიმედოა. დიდრონი ხუთმეტრიანი კოპიტები, რომლებიც გარს არტყია ყინულებს, მოწმობენ ყინულის სიმაგრეს.

მოდრეიფე ყინული

ერთსულოვნად ვიწყებთ მუშაობას. მალე ჩნდება მოდრეიფე ბანაკი. თხემა ნარინჯისფერმა კარავმა, რადიოანძებმა, მეტეოროლოგიური სადგურის ანძებმა კარგად მოწყობილი სტუმართმოყვარული ადგილის სახე მისცეს ამ ყინულს.

...გაისმა რაღაც არაჩვეულებრივი გრიალი, რომელმაც შესძრა ყინული ჰაერი. აკურატოვს ყინულის აუფეთქებია ღრმაწყლიანი სადგურისათვის.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს არქტიკული ინსტიტუტის დირექტორის ლიბინის ხელმძღვანელობით ყინული სამეცნიერო-საკვლევო სადგურად ვაქციეთ. მალე გავიგეთ, რომ ჩვენი ყინულის სისქე 200 სანტიმეტრი ყოფილა. მისი ფართობი—1×2 კილომეტრი. სწარმოებს მუშაობა მეტეოროლოგიასა და ასტრონომიაში, გრავიტაციული დაკვირვება. ჰიდროლოგებს ლიბინსა და ჩერნიგოვსკის ეხმარებიან ჩერევიჩნი და შეკუროვი, ურმანცკი და ბორუკინი. მეტეოროლოგის მოვალეობა დაკისრებული აქვს შტურმან აკურატოვს. მის მიერ შედგენილ მეტეოცნობებს რადისტი მაკაროვი დაუყოვნებლივ გადასცემს დედამიწას. რადიოკავშირი მუშაობს შეუფერხებლად, განრიგების ზუსტად დაცვით.

ასტრონომი—მაგნიტოლოგი ოსტრეკინი და აკურატოვი ზუსტად არკვევენ თვითმფრინავის კოორდინატებს.

11,5 მილი სიჩქარით დღე-ღამეში

...ცივ ჰაერში სამზარეულოდან საძილის მადისმომგვრელი სუნი მოდის. მე შეფ-კოკის მოვალეობა მაწევს. ჩვენი რესტორანი ყინულზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ოღონდაც! აქ არის ცხელი ხინკალი, ლიმონიანი სურნელოვანი ყავა, ერბო-კვერცხი და ფლომაში.

კარგი, მზიანი ამინდია. არქტიკაში ადრინდელი გაზაფხულია. ყინვა ამ ადგილებისათვის დიდი არ არის: მინუს 31-35 გრადუსი. კარვებში პრიმუსები შიშინებენ. ცივ ჰაერზე დაძაბული მუშაობის შემდეგ სასიამოვნოა დაისვენო აქლემის ტყავისაგან გაკეთებულ საწოლ ტომრებში.

დღეს ჩვენი კოორდინატებია ჩრდილოეთი განედის 81 გრადუსი და 17 წუთი და დასავლეთ გრძედის 180 გრადუსი და 0,2 წუთი. ამრიგად, ჩვენი ყინული დრეიფობს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ დღე-ღამეში 11,5 მილი სიჩქარით. მუშაობა სადგურში გაჩაღებულია. ყველანი მხნედ, ჯანსაღად და მხიარულად ვართ.

ბანაკზე მზის სხივებში ფრიალებს სოციალისტური სამშობლოს ალისფერი დროშა, რომელზედაც არის საყვარელი სტალინის პორტრეტი. 10 საბჭოთა პატრიოტი გულდაჯერებული ეწევა აქ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას.

მ. კამინსკი,

თვითმფრინავ „სსსრ ნ-169“-ის პარტორგი.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იოსუკე მაცუოკა მოსკოვში

7 აპრილს სსრ კავშირზე გავლით მოსკოვში გაჩერდა იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იოსუკე მაცუოკა.

ბელორუსიის ვაგზალზე ბ-ნ იოსუკე მაცუოკას შეხვდნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ს. ა. ლოზოვსკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-2 შორეულ-აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ამხ. ს. კ. ცარაპკინი, იაპონიის საელჩოს შემადგენლობა იაპონიის ელჩის ბ-ნი ი. ტატეკავას მეთაურობით, გერმანიის ელჩი გრაფი ფონ დერ შულენბურგი, იტალიის ელჩი ბ-ნი ა. როსო, უნგრეთის დესპანი ბ-ნი ჟ. დე კრიშტოფი, სლოვაკიის დესპანი ბ-ნი ფ. ტისო, ბულგარეთის დესპანი ბ-ნი ი. სტამენოვი, რუმინეთის მისიის მრჩეველი ბ-ნი ჟ. პოპესკუ-პასკანი.

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნი იოსუკე მაცუოკას მიღება ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ

7 აპრილს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იოსუკე მაცუოკა, რომელსაც თან ახლდა იაპონიის მოსკოველი ელჩი ბ-ნი ტატეკავა.

საფინანსო დისციპლინის განმტკიცება

მთავრობის მიერ საფინანსო ორგანოებს დაკისრებული აქვთ საწარმოთა და დაწესებულებათა შტატების, ხელფასის ფონდების, განაკვეთებისა და აპარატის სტრუქტურის კონტროლი. როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ გამოამჟღავნა მრავალი ფაქტი, როდესაც საფინანსო ორგანოები რეგისტრაციაში ატარებდნენ უკანონოდ გადიდებულ შტატებსა და ხელფასის განაკვეთებს. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ხელფასის უკანონო გადიდება აპარატის სტრუქტურის შეცვლისა და თანამდებობათა სახელწოდების გამოცვლის საბაბით.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ა. გ. ზვერევმა წინადადება მისცა საფინანსო ორგანოებს გადამწყვეტი ზომები მიიღონ შტატებისა და განაკვეთების დაწესების დროს თვითნებობისა და დარღვევათა ასაკვეთად. სსრ კავშირის მთავრობის ნებადაურთველად არ შეიძლება დაშვებულ იქნას ხელფასის განაკვეთების რაიმე გადიდება. თუ საშტატო და საფინანსო დისციპლინის დარღვევა აღკვეთილი არ არის დაწესებულ ვადებში, საფინანსო ორგანოები ვალდებული არიან დახურონ ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების კრედიტები. ხელფასის უკანონო გადიდებისათვის და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებისათვის განკუთვნილი ასიგნობანი უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში. მასალა ასეთ დარღვევათა შესახებ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს უნდა გადაეცეს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

გერმანია-საბერძნეთის საომარი მოქმედება

ლონდონი, 7 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ანკარაში მიღებული დაუდასტურებელი ცნობებით, ბერძნებმა კონტრშეტევა მოაწყეს და უკუაგდეს გერმანელები. ერთერთ პუნქტში ბრძოლა მიმდინარეობს ბულგარეთის ტერიტორიაზე.

ნიუ-იორკი, 7 აპრილი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იმოწმებს რადიომაუწყებელი კომპანიის — „კოლუმბიის“ ანკარაში მყოფი კორესპონდენტის ცნობებს და გადმოგვცემს, რომ ბერძენთა ჯარი კონტრშეტევაზე გადავიდა და მოიგერია გერმანელთა შეტევა. კორესპონდენტის სიტყვით, ფრონტის ერთერთ უბანზე ბერძნები ბულგარეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ და ამჟამად იქ ომობენ.

საბერძნეთის სარდლობის ცნობა

ათენი, 7 აპრილი (საკდესი). საბერძნეთის დეპეშათა სააგენტომ გუშინ საღამოს გამოაქვეყნა საბერძნეთის სარდლობის შემდეგი ცნობა: „დღეს დილით, უაღრესად თანამედროვე სამხედრო საშუალებებით აღჭურვილმა გერმანიის მძლავრმა ძალებმა, ტანკებისა და მრავალრიცხოვანი მძიმე არტილერიისა და ავიაციის ხელშეწყობით, უეცრად მოიტანეს იერიში ჩვენს პოზიციებზე, რომლებსაც იცავენ მხოლოდმხოლოდ ბერძენთა ერთობ შეზღუდული ძალები. ბულგარეთის მოსაზღვრე რაიონში, და განსაკუთრებით ველესისა (ორილისა) და მდინარე სტრუმის ხეობის რაიონში, მთელი დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა იყო. ამ ფრონტზე გადაყვანილი ბერძენთა ძალები მედგრად ებრძოდნენ მტერს თავიანთი შეზღუდული საშუალებების შემწეობით. ბერძენთა ავიაციის მცირე რაზმები ისინი, რომელთა გადმოყვანაც იტალიის ფრონტიდან შეიძლებოდა, ხელს უწყობდნენ ჩვენი ჯარის ბრძოლას. ძლიერი საარტილერიო სროლისა და მოიერიშე თვითმფრინავების მიერ წარმოებული ბომბარდირების მიუხედავად, ჩვენმა გამაგრებულმა პოზიციებმა მტერს გაუძლეს, გარდა ერთისა, რომელიც დაეცა მტრის განსაკუთრებული, მეტად დიდი მოძალების გამო. ბერძენთა არტილერიამ და ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვამ მტრის 10 ტანკი მოსპო. საბერძნეთის ავიაციამ და საზენიტო ტყვიამფრქვევებმა ჩამოაგდეს მტრის 5 ან 6 თვითმფრინავი. წამოყვანილია ტყვეები. საბერძნეთის ზოგიერთი რაიონი დროზე დასტოვა ჩვენმა ჯარმა სტრატეგიული ხასიათის მიზეზით და აგრეთვე იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ამაო მსხვერპლი. მტრის ძალები, რომლებმაც რამდენადმე წინ წამოიწიეს, საბოლოო ანგარიშით შევაკავეთ ფრონტის მთელ ხაზზე.

ალბანეთის ფრონტზე მზვერავი რაზმები და არტილერია მოქმედებენ“.

გენერალ პაპაგოსის მიმართვა საბერძნეთის არმიისადმი

ლონდონი, 7 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ათენიდან იუწყება, რომ საბერძნეთის არმიის მთავარსარდალმა გენერალმა პაპაგოსმა გუშინ მოწოდებით მიმართა საბერძნეთ-ბულგარეთის საზღვარზე განლაგებულ ჯარს. მიმართვა ბერძენთა ჯარს მოუწოდებს ისეთივე წინააღმდეგობა გაუწიოს მტერს, როგორიც ბერძენთა ჯარმა იტალიელებს გაუწია ალბანეთში.

ინგლისის მთავრობის განცხადება

ლონდონი, 7 აპრილი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო აქვეყნებს ინგლისის მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ ინგლისის მთავრობამ საბერძნეთს გაუგზავნა არმია, რომელიც ინგლისელთა, ავსტრალიელთა და ახალზელანდიელთა ჯარებისაგან შესდგება. ჯარების გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება, — აღნიშნულია ინგლისის მთავრობის განცხადებაში, — მიღებულ იქნა დომინიონთა მთავრობებთან ამომწურავი კონსულტაციის საფუძველზე იმის შემდეგ, რაც გერმანიის ჯარი ბულგარეთში შევიდა. განცხადებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა, რომლებიც ეს ერთი ხანია საბერძნეთში მოქმედებენ იტალიელთა წინააღმდეგ, ძლიერი მაშველი ჯარი მიიღეს.

რეიტერის სააგენტო იუგოსლავიაზე გერმანიის თავდასხმის გეგმის შესახებ

ლონდონი, 7 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, რომ ბელგრადთან ყოველგვარი კავშირი შეწყვეტილია, მაგრამ დიპლომატიური წყაროებით ანკარაში მიღებული ცნობების თანახმად, იუგოსლავიის არმიისა და სამოქალაქო მოსახლეობის მორალური განწყობილება ფრიად მაღალია.

როგორც ფიქრობენ, გერმანიის სამი დივიზია ჩრდილოეთიდან მიემართება იუგოსლავიის საზღვრისაკენ. ერთი ამ დივიზიათაგანი წინ მიიწევს უნგრეთში სეგედით (მდინარე ტისაზე), რომელიც უშუალოდ ბელგრადისაკენ მიდის). ერთი ჯავშნოსნატანკო დივიზია რუმინეთ-იუგოსლავიის საზღვრისაკენ მიემართება და, როგორც იუწყებიან, უკვე მიაღწია დასახულ ზღუდეებს, ერთი დივიზია წინ მიიწევს მარიბორის (იუგოსლავია) მიმართულებით. გერმანელები ცდილობენ აგრეთვე სკოპლეში (სამხრეთ იუგოსლავიაში) შეიჭრნენ კიუსტენდილიდან (ბულგარეთშია). არსებული ცნობებით, გერმანიის 7 დივიზიას თავს უყრიან თურქეთ-ბულგარეთის საზღვარზე, სადაც ამავე დროს იმყოფება ბულგარეთის 22 დივიზია. როგორც სჩანს, გერმანელები ცდილობენ ბერძენთა და იუგოსლავეთა ჯარებს შორის შეიჭრნენ სოლივით მდინარე ვარდარის ხეობის კარის რაიონში.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ბულგარეთში მყოფი გერმანიის ჯარი საბერძნეთსა და იუგოსლავიაზე ერთდროული თავდასხმისათვის საკმარისი არ არის, მეტადრე თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გერმანიის რამდენიმე დივიზიის მოქმედებას ალბათ, შებოჭავს თურქეთის დიდძალი ჯარი, რომელიც თავმოყრილია თრაკიაში.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს სტამბოლელი კორესპონდენტის ცნობა

ნიუ-იორკი, 7 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს სტამბოლელი კორესპონდენტის ცნობით, საბერძნეთიდან ჩასული პირები იუწყებიან, რომ ისინი იძულებული იყვნენ რამდენიმე დღეს ელოდნათ სალონიკში სამგზავრო მატარებლისათვის, რადგან ყველა მატარებელი გამოყენებული იყო დიდი ტრანსპორტებიდან გადასხმული ინგლისელი ჯარისა და მასალის გადასაზიდავად ინგლისელთა ჯარი ბულგარეთის, იუგოსლავიისა და ალბანეთის საზღვრებისაკენ მიემართებოდა. ამავე ცნობების თანახმად, საბერძნეთის ხელისუფლებამ ალექსანდრუპოლისის რაიონიდან მთელი სამოქალაქო მოსახლეობა გახიზნა, თუმცა ამ რაიონში დიდძალი ჯარი არ ყოფილა.

ფიქრობენ, — სწერს შემდეგ კორესპონდენტი, — რომ ბერძენთა არმია აღმოსავლეთ თრაკიას დასცლის და თავდაცვას მოაწყობს სალონიკის ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით, რუპელის კლდეკარში, სიდიროკასტრონის ჩრდილოეთით, ან ორფანის ყურესა და დოირანის ტბას შორის მდებარე მთებში.

ანკარის კარგად ინფორმირებულ წრეებში, — განაგრძობს კორესპონდენტი, — აცხადებენ, რომ გერმანელებს ბულგარეთში ჰყავთ 14 დივიზია, რომლებიც დაყოფილია 4 არმიად; ეს არმიები კონცენტრირებულია შემდეგ პუნქტებში: მელნიკში, ტრიგრადში, ზლატოგრადსა და სვილენგრადში. არსებული ცნობებით, გერმანელებმა მე-4 საჰაერო ფლოტის შტაბი ვენიდან სოფიაში გადაიყვანეს, მე-6 საჰაერო ფლოტის შტაბი კი ბუქარესტში დამკვიდრდა.

გერმანიის ავიაციის მოქმედება მდინარე სტრუმის ხეობაში

ბერლინი, 7 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის მოიერიშე ყუმბარმშვენი შენაერთები, რომლებიც ხელს უწყობენ გერმანიის ჯარის წინსვლას მდინარე სტრუმის ხეობაში, 6 აპრილს ერთობ ენერგიულად დაესხნენ თავს დიდ სიმაგრეებს, რომლებიც გასწვრივ ცეცხლს უშენენ მდინარე სტრუმის ხეობას.

სალონიკის ბომბარდირება

ნიუ-იორკი, 7 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო სალონიკიდან იუწყება, რომ 6 აპრილს დილით საჰაერო იერიში მიიტანეს ქალაქზე.

ბოლშევიკურად განვახორციელოთ XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი

კულტურული, რიგმიული, ორგანიზებული მუშაობისათვის

(თბილისის პიონერთა სამეცრავლო ფაბრიკა)

თბილისის პიონერთა სამეცრავლო ფაბრიკა საქართველოს სსრ მაუტანი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალ საწარმოთა შორის ერთერთი ძახვალი საწარმოა. აკ 1200-ზე მეტი მუშა-მოსამსახურეა. ფაბრიკა მასობრივად აწარდებს მაძაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმელს.

1940 წლის საწარმოო დაგალება ფაბრიკამ 108 პროცენტით შეასრულა.

აღნიშნულ ფაბრიკაში წარმატებანი თვალსაჩინო და უდავოა. მაგრამ ისინი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ყოველმხრივი იქნებოდა, რომ ამას ხელს არ უშლიდეს სერიოზული ნაკლოვანებანი. ამიტომ ჩვენ აქ ოღარ შევჩერდებით მიღწეულებზე, არამედ ვილაპარაკებთ იმ არსებით ნაკლოვანებებზე, რომელსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფაბრიკის მუშაობაში.

შეუსრულოთ გეგმები, გამოუშვათ სტანდარტული პროდუქცია

მართალია, ფაბრიკამ გასული წლის საწარმოო გეგმა როგორიმაც მაჩვენებლებს მიხედვით გადაჭარბებით შესრულა, მაგრამ გეგმის შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებლები სულ სხვაზე მეტყველებენ. მაგალითად, ფაბრიკას 1940 წელს უნდა გამოეშვა პირველი ხარისხის პროდუქცია 74,3 პროცენტი, ფაქტიურად გამოუშვა 71,9 პროცენტი, მეორე ხარისხისა —21,8, გამოუშვა — 25 პროცენტი, მესამე ხარისხისა—3,9, გამოუშვა—2,2 პროცენტი. კიდევ მეტი, გასული წელს გამოშვებულ იქნა 119.000 მანეთის უხარისხო პროდუქცია, რის გამოც ფაბრიკამ გადიხადა 273.000 მანეთი ჯარიმა.

ეს მდგომარეობა დამფიქრებელია, როგორც ვნახეთ, გასული წლის მუშაობის გაკვეთილები მიმდინარე სამეურნეო წელს ფაბრიკის კოლექტივისაგან მოითხოვდნენ მუშაობის მკვეთრად გუბოკეზეწებას, შრომის სწორი ორგანიზაციის წაფეძველზე, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტლივ ზრდასა და წარმოების დაგალებათა მაღალხარისხოვნად შესრულებას.

რა მდგომარეობა ამ მხრივ ფაბრიკაში?

ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს ძლევენ იანვრის, თებერვლისა და მარტის გეგმის შესრულების ფაქტიური მდგომარეობა. იანვრის გეგმა შესრულებულია 92,2 პროცენტით, თებერვლისა 95 პროცენტით, ხოლო მარტის 83,3 პროცენტით. ადგილი აქვს არასტანდარტული პროდუქციის გამოშვებას. იანვარში ფაბრიკის პირველი ხარისხის პროდუქცია უნდა გამოშვა 84,6 პროცენტი, ფაქტიურად გამოუშვა 75,8, მეორე ხარისხისა—13.4, ფაქტიურად გამოუშვა — 23,4, ასეთივე მდგომარეობაა პროდუქციის ხარისხის მხრივ თებერვალსა და მარტშიაც. ფაბრიკამ პირველი ოვარტალის გეგმა 90,1 პროცენტით შეასრულა.

თუ, ფაბრიკის ხელმძღვანელებს ყოველივე ამის მიზეზებზე ეფიკითხებით, ისინი აცსადებენ: „სამეურნეო გეგმის ორიდეოობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებლობა ნეფლი მასალის მოუმარაგებლობით არის გამოწვეული".

ჩვენის აზრით, იანვარსა, თებერვალსა და მარტში პირველი სამეცრავლო ფაბრიკის ხამორჩენა უნდა აეხსნათ არა მარტო ნეფლი მასალის არასაკმაო რაოდენობით მიწოდებით, არამედ იმით, რომ ფაბრიკის პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელები შოეტენელად მუშაობენ. აღსანიშნავია, რომ მათ ჯერ კიდევ ვერ გაეკეთეს სათანადო დასკვნები ამხ. გ. მ. მალენკოვის მოხსენებიდან და საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან.

ზოგიერთ სამეურნეო ნეფლეულს ბარარაციონალურად იყენებენ. ცალკეულ სამეურნეოთა უფროსებსა ნაკლებად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ მომეურნეობით ხარჯონ ნეფლეული, და რაც შეიძლება მეტი ეკონომია მისცენ სახელმწიფოს. მაგალითად, საგამომრეული სამეურნეოს უფროსი ამხ. ციხოშვილი თვითნებურად მუშაობს, მოიხმარდაად იმისა, რომ მას დაკალებული ჭრონდა დაეფდა მატერიის მექანიკურად გამპრელი ფაზა, მან ეს დღემდე არ შეასრულა, რის გამოც მატერიის ცალკეული ფენები იჭრება ხელის დანით, არათანაზომიერად, 7-8 მილიმეტრის და ზნრი შემთხვევაში 1-დან 2 სანტიმეტრის მეტ-ნაკლებობით. ერთი შეხედვით აკ თითქოს უმნიშვნელო ღირებულების რამესთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ აკამქრობი ყოველწლიურად დაახლოებით 8.000.000 მეტრი ქოთელი უნდა გამოეპრას, მაშინ ნათელი გახდება, რომ ამ „უმნიშვნელო მილიმეტრებს" შეუძლია წარმოებას მისცეს რამოდენიმე ათასი ანეფთის ეკონომია.

ამ საამქროში სხვა უყაირათობასაც აქვს ადგილი. ჯერ ოვანი ყურეიდან არ ეკეცვა მატერიის დაზარისხებას სიგანის მიხედვით. ცნობილია, რომ ერთი და იმავე ხარისხისა და ერთი და იმავე არატყეულის მატერია ზნრად ეკიდა ერთ ადგილ. საგამომეურეო საამქროში ამ ხდება ასეთი ფერის მიხედვით მატერიის დაზარისხება, ეს იწვევს სამეკერავო საამქროებში გამოჭრილი და ფენებად დაწყობილ მასალების ხელმეორედ დაზარისხებას ანდა ხელმეორედ მანქანაზე ძაფების შეცვლას, რაც მაკრავისათვის მოულოდნელ სამუშაოდ უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, ზოგჯერ ინოდეკეა ტექნოლოგიური დისციპლინა შეეშალეკრი საამქროს უყაირათო მუშაობით. თავის დროზე არ სწარმოებს აგრეგატების შეკეთება.

გადავაქციოთ ფაბრიკა ნისუფთავის ქერად

ამხ. გ. მ. მალენკოვმა თავის მოხსენებაში XVIII პარტიულ კონფერენციაზე აღნიშნა, რომ საამეურნეო ქარხანა სისუფთავისა და წესრიგის კერა უნდა იყოს. აღნიშნული ფაბრიკის მდგომარეობას თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, ამ ყველაფერი რიგზე როდია. მართალია, ფაბრიკაში სისუფთავეს დამყარების მიზნით ცოტა რამ გაკეთდა, ამ დღეებში კომკავშორეულმა ჩაატარეს შაბათობა, დასუფთავეს სამქროები, მაგრამ ესუფთაოობა ფაბრიკაში შესვლისას ჯერ კიდევ თვალში ეეცემათ.

ავიღოთ საქუთელ საამქრო. ამ ეწარმოებს ქუთების ორთქლში გატარება, იქ ვინტილატორი უნდა დაედგამ, მაგრამ ეს დღემდე არ არის შესრულებული. ამავე საამქროში ლუმელის თავზე ჰყონია ფეტრის ალარეული ნაჭრები, რომლიც ტეტრით არის დფარული, ალტაკენ მობნეულია მატერიის ჩამონაჭერები. საგამომეურელ და სამკერავო საამქროების კედლები და ფანჯრები დაბუჭყიანებულია.

საკმაო ყურადღება არ ეეცევა ფაბრიკის ეზოს კეთილმოწყობას. ეზოში გაკეთებულია აუზი, რომელიც არ სუფთავდება, მასში დაგებეული წყალი ეუშეყინა და ამორეთანია. უფრო მეტი. ფაბრიკის კედლების ფასადი ისევ შთამბეჭდილთას ტოვებს, თითქოს ეშენების დღიდან მისი გალამაზებისაოვის არავის არ ეზრუნია.

შენობის გარე კედლებზე გაკრულია გადაბუნებული ეუჭყიანი აბრები ეწარწერით: «Лучшая пудра», «Красный мак», «Лучшая зубная паста», «Лучший крем под пудрой». (?!). ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ კომერციისა, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა ეს აბრები შეცვლილიყო სუფთა და ლამაზი აბრებით, რომლებიც მოგვითხრობდნენ, თუთ ამ წარმოების ზრდისა და წინსვლის მაჩვენებლებზე.

ფაბრიკის ხელმძღვანელობამ არასოდეს არ უნდა დაიეწყოს, რომ სისუფთავისა და ელემენტარული წესრიგის უქონლად წარმოუდგენელია საწარმოს ნორმალური მუშაობა.

პარიონოი ორგანიზაციი უფრო ღრმად უნდა ჩასწვდეს წარმოების საკითხებს

ოთხ უნდა აიხსნას უმთავრესად ფაბრიკის მუშაობის აღნიშნული ხალოვანებანი? პასუხი ერთია. იმითა, რომ ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად ინსორიკულებს კონტროლ დირექციის საქმიანობაზე. სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ პარტიული ორგანიზაცია საწარმოო საკითხებით არ იყოს დაინტერესებული. იგი სისტემატურად იხილავს რიგორც პარტიულობის სხდომებზე, ისე პარტორგანიზაციის კრებებზე წარმოების ცალკეულ საკითხებს. არც ცუდი დადგენილებანი გამოაქვეთ, მაგრამ რა ფასი აქვს დადგენილებას, რაგინდ კარგადაც უნდა იყოს ის დაწერილი, თუ მას პრაქტიკულად არ განეხორციელებთ? ფაბრიკის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელ მუშაკებს ავიწყდებათ, რომ „...გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ დასაწყისია საქმისა და რომ გადაწყვეტილებანი ძალიანა არა თვით გადაწყვეტილებათათვის, არამედ შესასრულებლად..." (მალენკოვი).

გადაწყვეტილებათა განხორციელება შეიძლება ღონისძიებათა ეფექტიანის ყოველდღიური შემოწმებანი. ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ერთერთი ნაკლი ეწორად ისაა, რომ სისტემატურად არ აწარმოებს დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. მაგალითად, 1941 წლის 5 თებერვალს პარტორგანიზაციამ პარტიულ კრებაზე მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა შრომის დისციპლინის გამტკიცებისა და შრომის მოწესრიგებისათვის. ასევე დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი 17 იანვრის პარტიულ კრებაზე, მაგრამ ესინი ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული.

პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად იბრძვის კომისარიატისა და ფაბრიკის დირექტორის პრძანებათა გატარებისათვის. თვით პუბლეკი მრეწველობის სახალხო კომისარიატი და ფაბრიკის დირექტორი დროზე ვერ ამოწმებენ მათ მიერ დაშვებულ ბრძანებებს და განკარგულებებს, რასაც მოსდევს საქმის შეუსრულებლობა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია მოეიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. ფაბრიკის ყველა საამქროო გარდა საგაშოქრეული საამქროსი, გადასულია ორცვლიან სამუშაოზე. ეს საამქრო რატომღაც ერთ ცვლაზე მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ იყო განკარგულება მისი ორცვლიან სამუშაოზე გადასვლის შესახებ. ავრეთვე შესრულებული არ არის ფაბრიკის დირექტორის ბრძანება № 37 ზოგიერთ ფერგეტის ტექნოლოგიური პროცესის განსაზღვრისა და საფეიერო ქსოვილის ხარისხის შემმოწმებელი მანქანის დადგმის შესახებ. ასევე ითქმის კომისარიატის 1941 წლის 27 თებერვლის განკარგულებაზე.

მოყვანილი ფაქტები მთელი სიცხადით მიტყველებენ იმაზე, რომ ფაბრიკაში პარტიულ - მასობრივი მუშაობა დაბალ დონეზეა. სუსტად მიმდინარეობს XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაცია. პარტიულმა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა უნდა აარდაჭმნან ახალ ამოცანებთან შეფარდებთ.

○

1941 წელს როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური საწარმოთა წინაშე, ისე № 1 სამეკრავლო ფაბრიკის წინაშეც უაღრესად სერიოზული და საპატიო ამოცანებია დასმული. ფაბრიკამ უნდა მიაწოდოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას ლამაზი, სუფთა და მაღალხარისხოვანი სხვადასხვა ასორტიმენტის ტანსაცმელი.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის ფაბრიკის კოლექტივს ყველა საშუალება მოეპოვება. არ უნდა დავიიწყოთ, რომ საქმის წარმატება დამოკიდებულია ფაბრიკის ხელმძღვანელობის მოქნილ და უნარიან მუშაობაზე, სპ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სამეკრავლო სამმართველოს სწორ და ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებაზე.

ვ. კაჭკაჭიშვილი
გრ. ზაქარაია



თბილისის პირველი სამკერავლო ფაბრიკის სტახანოველი გამომჭრელი ანდრია მაჩნეიფი, რომელიც XVIII პარტიელი კონფერენციის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და ოღუბული ვალდებულება 180 პროცენტის ნაცვლად გაანაღდა 265 პროცენტით.

ფოტო რ. ოკოფოვისა.

გერმანიამ ომი გამოუცხადა იუგოსლავიასა და საბერძნეთს

ბერლინი, 6 აპრილი (საკდესი). დღეს, დილაადრიან გერმანიის არმიის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს საომარი მოქმედება იუგოსლავიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ.

ბერლინი, 6 აპრილი (საკდესი). ჰიტლერმა გერმანელ ხალხს

გერმანიის მთავრობის ნოტა საბერძნეთისადმი

ბერლინი, 6 აპრილი (საკდესი). დღეს დილით გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნოტა გადასცა საბერძნეთის დესპასს. ნოტაში მოყვანილია რიგი ფაქტები და დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ საბერძნეთის სოლიდარობას ინგლისისადმი და აგრეთვე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბერძნეთი წარმოადგენს „ერთადერთ ევროპულ სახელმწიფოს!", რომელშაც ნება დართო ინგლისის ჯარს შემოსულიყო ევროპის ტერიტორიაზე". ნოტაში განცხადებულია, რომ გერმანიის შეიარაღებული ძალა სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტის ჯარისკაცებს რაღინოთ მოწოდებთ მმართა, რომლითაც იგი იუწყება, რომ დღეს დილიდან გერმანია ომის მდგომარეობაში იმყოფება საბერძნეთსა და იუგოსლავიასთან.

გერმანიის მთავრობის განცხადება გერმანიისა და იუგოსლავიის ურთიერთობის შესახებ

ბერლინი, 6 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, იმ ოფიციალური განცხადების ტექსტს, რომელითაც გერმანიის მთავრობა გამოვიდა გერმანიასა და იუგოსლავიას შორის არსებული ურთიერთობის გამო.

განცხადებაში მოყვანილია მთელი რიგი ფაქტები და მითითებანი ზოგიერთ დოკუმენტზე ინგლისისა და იუგოსლავიის ურთიერთდამოკიდებულების სფეროდან. გერმანიის მთავრობამ,—ნათქვამია განცხადებაში, — გერმანიის ჯარს უბრძანა მთელი თავისი სამხედრო ძალვამოსილება გამოიყენოს იუგოსლავიის მიმართ.

გერმანიის მთავრობის განცხადების დართული აქვს დაწვრილებითი მემორანდუმი, რომელიც შეიცავს გერმანია - იუგოსლავიის ურთიერთობის მიმოხილვას 1914-1918 წლების ომის დროიდან.

საბერძნეთის არმიის უმაღლესი საარდლოის კომუნიკე

ათენი, 6 აპრილი (საკდესი). საბერძნეთის დეპუტათა საგენტო გადმოგვცემს საბერძნეთის არმიის უმაღლესი საარდლობის კომუნიკეს, რომელიც გამოქვეყნდა 6 აპრილს, დილით. კომუნიკეში ნათქვამია, რომ დღეს დილის 5 საათსა და 30 წუთზე ბულგარეთში

საბერძნეთის დეკეშათა საგენტოს გერმანიასა და საბერძნეთს შორის სომეარი მოქმედების დაწყების შესახებ

ათენი, 6 აპრილი (საკდესი). საბერძნეთის დეპეშათა საგენტო იუწყება: დღეს, დილის 5 საათსა და 30 წუთზე, გერმანიის ათენეი-ნი დესპასი მის ეკრძალ ბინაზე ეწვია პრემიერ-მინისტრს კორიზოსს და აცნობა, რომ საბერძნეთის ბერლინეკი დესპასნი იმავდროულად გერმანიის მთავრობამ გადასცა ნოტა, რომლითაც მას ატყობინებენ, რომ დღეს, დილით, გერმანიის ჯარი შედის საბერძნეთის ტერიტორიაზე საბერძნეთში

სომეარი მოქმედება გერმანიასა და საბერძნეთს შორის

ბერლინი, 6 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ საბერძნეთში,

საკაკერო განგაში ათენში

ათენი, 6 აპრილი (საკდესი). როგორც საბერძნეთის დეპეშათა საგენტო იუწყება, დღეს, დილის 10 საათსა და 50 წუთზე, ათენში

სომეარი მოქმედება ალბანეთში

ათენი, 4 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 5 აპრილს ფრონტზე მზეკერავი რაზმებისა და არტილერიის მოქმედება იყო. ტყეად წამოყვანილია 40 კაცი. მტრის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა და ტყეიამფრქვევების სროლა აუტეხა კორფუს კუნძულის სოფელს; არის 2 მსხვერპლი.

ა. ჰ. ჰიტლერის ბერლინის საელჩოს მოსამსახურის დაკავებრების გამო

ნიუ-იორკი, 5 აპრილი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ მან წარდგენილი მიმართა გერმანიის საგარეო საქმეთა

ინგლისის ბომბავლენი იუგოსლავიის ფრონტზე

რომი, 6 აპრილი (საკდესი). ინგლისის საგენტო ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები საბერძნეთის ტერიტორიიდან" და რომ „ყოველგვარი წინააღმდეგობა, რომელსაც გერმანიის შეიარაღებულ ძალებს გაეწევენ, ულმობლად იქნება დათრგუნული".

გერმანიის მთავრობის ნოტას დართული აქვს მემორანდუმი, რომელიც შეიცავს უკანასკნელი წლების განმავლობაში გერმანია-საბერძნეთის დამოკიდებულების მიმოხილვას.

ინგლისის ბომბავლენი იუგოსლავიის ფრონტზე

რომი, 6 აპრილი (საკდესი). სტეფანის საგენტო გადმოგვცემს იტალიის მთავრობის ოფიციალურ განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ იტალიამ გადასწყვიტა გერმანიასთან ერთად გამოვიდეს იუგოსლავიის წინააღმდეგ.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ბელგრადზე

ბერლინი, 6 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დღეს, ნაშუადღეს, გერმანიის ყუმბარმეჩენბმა მეორე დიდი თავდასხმა მოახდინეს ბელგრადზე.

გერმანიის საარდლობის ცნობა

ბერლინი, 6 აპრილი (საკდესი). გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი საარდლობა იუწყება: „იმასთან დაკავშირებით, რომ საბერძნეთში ინგლისის სადესანტო ჯარი ჩრდილეთისაკენ მიიწევს და იგი იუგოსლავიის მიბილიზებულ შეიარაღებულ ძალებს შეეერთდა, დღეს, დილით, გერმანიის არმიის ნაწილები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. გერმანიის ჯარმა რამდენიმე ადგილას გადალახა საბერძნეთისა და სერბიის საზღვრები. დილით გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა სერბიის აეროდრომებს. გერმანიის ავიაციის დიდმა შენაერთებმა ეერიში მიიტანეს ბელგრადის სამაგრეებზე, ჰოსპეს ყაზარმები, აგრეთვე სამხედრო ნაგებობანი და სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაგებობანი. იტალიის ავიაციის შენაერთებმაც წარმატებით დაუშინეს ყუმბარა მნიშვნელოვან ობიექტებს იუგოსლავიაში.

ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანიისა და იტალიის მოტორიზებულმა ნაწილებმა და ჯავშანტანკო რაზმებმა უკუაქციეს მტერი, რომელიც უშედეგოდ ცდილობდა გამაგრებულიყო ცალკეულ პოზიციებზე. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დიდძალი სამარი მასალა. ფარერის კუნძულების სამხრეთით ყუმბარმეჩენბმა ჩასძირეს მტრის სავაჭრო გემი 3.000 ტონა წყალწყვიანა.

ფერტ ოფ-ფორტის ყურის გასასვლელთან ჩაძირულია 2 სხვა გემი და დაზიანებულია 4 სავაჭრო გემი. მსგავი ყალიბის ყუმბარები მოხვდა შოტლანდიის ერთერთ ქარხანას. წარმატებით დავუშინეთ ყუმბარები საბრეთ - დასავლეთ ინგლისის სანავსადგურო ნაგებობებსა და სამხედრო დასაყრდენ პუნქტებს. ერთ ეერიფლოთაზე ცეცხლი გაუნსდა ანკარებს, ყაზარმებსა და მოწაზე მდგომ თვითფრენაგებს. გასულ ღამეს მოწინააღმდეგე გერმანიის ტერტორიაზე ერ ამოჩენილია. საფრანგეთის ოკუპირებულ ტერტორიაზე ბრიტანეთის ოკუპირებულ ტერტორიაზე რამდენიმე თვითფრინგეა შემოფრინდა".

იუგოსლავიის მეფის ბრძანებულება სენაგორთა შესახებ

ბელგრადი, 5 აპრილი (საკდესი). მეფე პეტრე II-ის ბრძანებულებით დანიშნულ ან არჩეულ სენატორთა და მათ მოადგილეთა ყველა მანდატი ყოველგვარ ძალას ჰკარგავს ბრძანებულების გამოქვეყნების მომენტიდან.

მეფის ბრძანებულებით დანიშნული იქნება არჩევნების დღე და სენატის არჩევის დღე.

რუზველტმა მიიღო უნგრეთისა და იუგოსლავიის დესპანები

ვაშინგტონი, 5 აპრილი (საკდესი). რუზველტმა მიიღო უნგრეთის ახალი დესპანი დე გიკი და იუგოსლავიის დესპანი ფოტიჩი.

ი უ გ ო ს ლ ა ვ ი ა

(ცნობა)

იუგოსლავია ბალკანეთის ნახევარკუნძულის ერთერთი უდიდესი სახელმწიფოა. მისი ტერიტორია უდრის 247.542 კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა — 15.700 ათას კაცს. ეროვნებათა შორის იუგოსლავიაში რიცხვობრივად პირველი ადგილი უკავიათ სერბებს — დაახლოებით 5,2 მილიონნი, მეორე — ხორვატებს — 4,4 მილიონი; მესამე — სლოვენებს — დაახლოებით 1,1 მილიონი. გარდა ამისა, იუგოსლავიაში ცხოვრობენ ჩერნოგორელები, ბოსნიელები, რუმინელები, გერმანელები, უნგრელები, ალბანელები და მაკედონელები. იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში 265 ათასი მცხოვრებია.

იუგოსლავია მთაგორიანი ქვეყანაა. ცალკეულ პუნქტებში მთების სიმაღლე 2 ათას მეტრს აღემატება ზღვის დონიდან. იუგოსლავიის ცენტრალურ ნაწილს მკაცრი კლიმატური პირობები ახასიათებენ. აქ ზამთარი მეტად ხანგრძლივია, ამასთან ჰაერის ტემპერატურა დაბალია და ღიდი თოვლი იცის. და შემთხვევითი არ არის, რომ იუგოსლავიის არმია გულმოდგინედ ემზადებოდა საბრძოლო მოქმედებისათვის ამა მარტო მთაგორიან, არამედ მკაცრ კლიმატურ პირობებშიც.

იუგოსლავიის არმია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ერთერთი საუკეთესო არმიად ითვლება. იუგოსლაველი ჯარისკაცები კარგად არიან გაწვრთნილნი. მობილიზაციის შემთხვევაში იუგოსლავიას, უცხოეთის პრესის ცნობებით, შეუძლია 1.800 ათასამდე მებრძოლი გამოიყვანოს. ავიაცია შესდგება

პირველი ხაზის 800-მდე თვითმფრინავისაგან, საზღვაო ავიაციას შეადგენს 120 თვითფრინავი.

გერმანიისადმი 1938 წელს ავსტრიის შეერთებამ და იტალიის მიერ 1939 წელს ალბანეთის ოკუპაციამ სრულიად შესცვალეს იუგოსლავიის სტრატეგიული მდგომარეობა. მას ახლა აქვს სახმელეთო საზღვრები გერმანიასთან და იტალიასთან, ამასთან ამ სახელმწიფოებიდან იუგოსლავიაში მრავალი გზა არის გაყვანილი.

იუგოსლავია აგრარული ქვეყანაა. გლეხები მოსახლეობის 76 პროცენტს შეადგენენ. მძიმე ინდუსტრია და მანქანათმშენებლობა სუსტად არის განვითარებული. შეიარაღების მხრივ იუგოსლავია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე.

იუგოსლავიაში მოიპოვება მდიდარი საბადოები ქვანახშირისა, სპილენძისა, ტყვიისა, თუთიისა, ქრომის ბაქანისა და ბოქსიტებისა, რომლებიც უძვირფასეს სტრატეგიულ ნედლეულს წარმოადგენენ. იუგოსლავიის მეფის ტახტი

საჭადრაკო მაჯრ-ფურნირი

ლენინგრადი, 6 აპრილი (საკდესი). მეორე წრის უკანასკნელმა ტურმა, რომელიც დღეს შესდგა, შეეუთავარ ბრძოლაში ჩაიარა. სამეგე პარტია გადაიდო (ბოტვინიკ—სმისლოვი, ბოლესლავსკი—კერესოს და ლილიენტალ—ბონდარევსკისა).

ხვალ გათამაშდება გადადებული პარტიები.

10 ტურის შემდეგ წინ არის ბოტვინიკი, რომელსაც აქვს 4,5 ქულა (6-დან), და კერესი—4,5 ქულა (8-დან).

თავდაცვა-ავიაქიმიელთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება

სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საზოგადოების მთელ რიგ ორგანიზაციათა ინიციატივა იმის შესახებ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIV წლისთავის აღსანიშნავად მოეწყოს თავდაცვა-ავიაქიმის საწვრთნელ ორგანიზაციათა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების ძირითადი მაჩვენებლებია მაღალხარისხოვანი შესრულება 1941 წლის 1 ოქტომბრისათვის თავდაცვა-ავიაქიმელთა კომპლექსური წვრთნის პროგრამისა ყველა სათავდაცვო სპეციალობაში, აგრეთვე ტაქტიკური ვარჯიშობის სანიმუშოდ ჩატარება.

10 საუკეთესო საწვრთნელი რაზმისა, 15 გუნდისა და 25 ჯგუფისათვის დაარსებულია გარდამავალი წითელი დროშები.

(საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ი. ა. კუხარი დანიშნა სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. პ. დ. ორლოვი დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ფინეთში. (საკდესი).

110.8 პროცენტი

საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის საფუძველზე კასპის სტალინის სახელობის ცემენტის ქარხნის წამყვანმა საამქროებმა პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა შემდეგი მაჩვენებლებით შეასრულეს:

კირქვის კარიერის საამქრომ (უფროსი — ამხ. გ. მაჩაბელი) 135,6 პროცენტით, გამოწვის საამქრომ (უფროსი — ამხ. ლ. ზახაროვი) 107,3-ით, დაფქვის საამქრომ (უფროსი — ამხ. ვ. მამულაშვილი) 113,8-ით და გაგზავნის საამქრომ (უფროსი — ამხ. დ. ჩიჩუა) — 110,8 პროცენტით.

საერთო პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა შესრულებულია 110,8 პროცენტით.

ტექნოლოგიური პროცესის დაცვით მიღწეულია მაღალხარისხოვანი ცემენტის გამოშვება.

ქარხნის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, რომლებმაც 1941 წლის I კვარტალის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მიიღეს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, ენერგიულად იბრძოლებენ მაღალხარისხოვანი ცემენტის გამოშვებისათვის და მიაღწევენ ახალ-ახალ საწარმოო წარმატებებს.

ი. მაჭარაშვილი

საქართველოს ნავთის პირველი მარშრუტი

ამერიკაკავასიის რკინიგზამ 3 აპრილიდან გახსნა საქართველოს ნავთით დატვირთული ცისტერნების მოძრაობა კაჭრეთ-ნავთლუღის ხაზზე.

პირველი მარშრუტი ნავთლუღში 4 აპრილს ჩამოვიდა. ამავე დღეს კაჭრეთიდან გაიგზავნა მეორე მარშრუტი.

საქართველოს ნავთით დატვირთული ცისტერნები ნავთლუღიდან ბათუმს გაიგზავნება, სადაც ნავთს გადამუშავებენ. (საკდესი).

საქართველოს რემედასის VII ყრილობა

5 და 6 აპრილს ძერჟინსკის სახელობის კლუბში მიმდინარეობდა საქართველოს რემედასის VII ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. თ. აბაშმაძემ.

ყრილობის დღის წესრიგში იყო სამი საკითხი: 1. საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, 2. საქართველო კომისიის ანგარიში და 3. არჩევნები საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველო კომისიის.

ყრილობამ საქმით პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია ამხანაგები: ი. თავაძე, ა. მირცხულავა, მ. ვილეგანინი (რემედასის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი), გ. ელისაბედაშვილი, თ. აბაშმაძე, ნ. ალაჯალოვი, ჰ. ბუკაბაძე, შ. საბხრამეკ, გ. ინანიშვილი და სხვ. ყრილობამ აირჩია აგრეთვე სამდივნო და სამანდატო კომისია.

ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საქ. ს. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, აგრეთვე ამხანაგები **დიმიტროვი, ტიმოშენკო, ტელმანი** და **ხოზე დიასი.**

შემდეგ დელეგატებს გააცნეს საქ. რემედასის VII ყრილობის სახელზე გამოგზავნილი მისალმებები რემედასის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ამხ. მ. რაკოშისა, რასაც ყრილობის მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ პირველ საკითხზე ყრილობამ მოისმინა საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. თ. აბაშმაძის საანგარიშო მოხსენება. ანგარიშში მოხსენება ორ საათზე გაგრძელდა. ამის შემდეგ ყრილობამ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიიღო მისალმება ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინისადმი.

ყრილობის სხდომათა მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. თავაძე და საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. მირცხულავა.

○

6 აპრილს საღამოს შესდგა საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა რემედასის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩია შვიდი ამხანაგი.

პლენუმმა საქ. რემედასის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ამხ. თ. აბაშმაძე, ხოლო პასუხისმგებელ მდივნად ამხ. ჭ. სვანიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ს. თარხანოვი.

ფართოდ გავშალოთ აღმოსავლეთ საქართველოს მუშსოფლკორთა და პრესის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება

გორელები მოწონებით შეხვდნენ გურჯაანელთა ინიციატივას

გორი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). 6 აპრილს შესდგა რაიონული და ძირეული პრესის მუშაკთა და მუშსოფლკორთა სარაიონო შეკრება, რომელიც მიეძღვნა აღმოსავლეთ საქართველოს მუშსოფლკორთა და პრესის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ გურჯაანელთა მიმართვის განხილვას.

შეკრება, რომელსაც 250-მდე კაცი დაესწრო, შესაფერი სიტყვით გახსნა საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. მიხ. ხუციშვილმა.

ინფორმაციით რაიონული და ძირეული პრესის მუშაკთა შორის სოციშეჯიბრების გაშლის შესახებ გამოვიდა გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის წარმომადგენელი ამხ. ა. კოკილაშვილი. გორის რაიგაზეთის „სტალინელის“ პშგ. რედაქტორმა ამხ. ი. მამალაძემ შეკრების მონაწილეთა გააცნო გურჯაანის რაიონის მუშსოფლკორთა და რაიონული და ძირეული პრესის მუშაკთა მიმართვის შინაარსი.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. დ. ბედოშვილი (გაზ. „სტალინელის“ აქტიური კორესპონდენტი), გ. ლაშქარაშვილი (სოფ. ხიდისთავის საკოლმეურნეო კედლის გაზეთის რედაქტორი), რომა ურიგაშვილი (სოფ. მეჯვრისხევის საკოლმეურნეო კედლის გაზეთის რედაქტორი, 1941 წ. სას.-სამ. გამოფენის მონაწილეობის კანდიდატად წაყენებული), კ. ფაფავა (ტირძნისის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, „სტალინელის“ აქტიური სოფლკორი), ს. მაზბიშვილი (სოფ. ტინისხიდის საკოლმეურნეო კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი), გ. ხიტარია (გორის რკინიგზის სადგურის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი), ლ. აბალაკი (სოფ. ბერბუკის ბერიოს სახ. კოლმეურნეობის კედლის გაზეთის რედაქტორი) და სხვ.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა, ილაპარაკეს რა თავიანთ კედლის გაზეთების ნაკლოვანებებზე, მოიწონეს გურჯაანელთა ინიციატივა რაიონული და ძირეული პრესის მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ და ამასთან დაკავშირებით იკისრეს კონკრეტული ვალდებულებები.

გორის რაიონის ბევრმა საკოლმეურნეო კედლის გაზეთმა ახლებურად მოაწყო მუშაობა. რაიგაზეთ „სტალინელის“ აქტიური დაბმარებით მთელი რიგი გაზეთები, რომლებიც წინათ თვეში ერთხელ არც კი გამოდიოდნენ, ახლა 5 და 10 დღეში სისტემატურად გამოდიან. შეკრებაზე აღინიშნა, რომ სოფ. ხიდისთავის საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია ნაკლებად ეხმარება კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიას თავის მუშაობაში. უფრო მეტიც. სოფ. ტყვიავის ტერიტორიულ (მდივანი ამხ. კანონ ქარელი), მეჯვრისხევის (მდივანი ამხ. დ. ხომასურიძე) და შინდისის (მდივანი ამხ. ნ. ფირცხელაური) პარტორგანიზაციებს ამ ერთი წლის განმავლობაში ერთხელაც არ განუხილავთ ძირეული პრესის მუშობის საკითხები.

განსაკუთრებით აღინიშნა ტირძნისის სოფლსაბჭოში შემავალ კოლმეურნეობათა კედლის გაზეთების საქმიანი და ოპერატიული მუშაობა. კოლმეურნეობა „კავკასიონის“ კედლის გაზეთმა „სტახანოველმა“ პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილებას მიუძღვნა სპეციალური ნომერი. ასევე მოიქცა სოფ. ბროწლეთის კედლის გაზეთიც. სოფლსაბჭო (თავმჯდომარე ამხ. კ. ფაფავა) აქტიურად ეხმარება ძირეულ პრესას. ამ დღეებში სოფლსაბჭოს სესიაზე სპეციალურად განიხილა კედლის გაზეთების მუშაობის საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებები.

შეკრებაზე სოფ. დიდოხეთის საკოლმეურნეო კედლის გაზეთმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ხიდისთავის საკოლმეურნეო კედლის გაზეთი, რომელმაც მიიღო გამოწვევა; სოფ. მეჯვრისხევის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიამ აიღო ვალდებულება ჩაებას შეჯიბრებაში და აქტიური დახმარება გაუწიოს მუშაობაში სოფ. მეჯიუდისპირის კედლის გაზეთს და სხვ. სოფ. ტინისხიდის საკოლმეურნეო კედლის გაზეთის „სტალინელი“ სარედაქციო კოლეგიამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კედლის გაზეთი.

დასასრულ შეკრებამ მიიღო პრაქტიკული ღონისძიებები, რომლითაც გორის რაიონის მუშსოფლკორებმა, რაიონული და ძირეული პრესის მუშაკებმა სხვა მთელ რიგ ვალდებულებებთან ერთად იკისრეს:

15 აპრილამდე მისცეს რაიონული გაზეთში სპეციალური გვერდი შინდისის ახლად შექმნილი მტს-ის მუშაობის პირველ ნაბიჯზე, 20 აპრილამდე მოაწყონ რაიგაზეთის გამსვლელი რედაქცია მდ. ლიახვზე ახალი ხიდის მშენებლობის საკითხების გასაშუქებლად. რაიგაზეთში შემოღებული იქნება სპპატიო დფფა იმ მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ების, სამეთოთა მეურნეობების, ბრიგადების, მეცხოველეობის ფერმების და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა შესატანად, რომლებიც სამაგალითო მუშაობის ნიმუშებს უჩვენებენ პარტიისა და მთავრობის 1940 წლის 15 ოქტომბრისა და 1941 წლის 13 მარტის დადგენილებათა განხორციელების საქმეში.

ბეჭდვითი სიტყვის დღის — 5 მაისისათვის მზადების პერიოდში მოეწყობა მოწინავე კედლის გაზეთების მოძრავი გამოფენა სოფ. კარალეთის, ტყვიავის და ტირძნისის სოფლსაბჭოებში. ამასთან დაკავშირებით ჩატარდება საუბრები პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილების მნიშვნელობისა და ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ისტორიის საკითხებზე, დახმარება გაეწევათ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს საველე და საბრიგადო კედლის გაზეთების გამოშვებაში.

რაიონში ხუთ დღიური კედლის გაზეთების რაოდენობა აყვანილი იქნება 10-მდე (ამჟამად ხუთია), რაიონული გაზეთი მისცემს სპეციალური გვერდებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მ-ჯერ.

აღნიშნულ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის გორის რაიონის პრესის მუშაკები სოციალისტურ შეჯიბრებას აგრძელებენ გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელთან“ (ფოთი), „ბოლშევიკურ ტემპთან“ (ბორჯომი) და „კოლმეურნესთან“ (ხიდისი).

რაიგაზეთის „სტალინელის“ რედაქციამ იმ საკოლმეურნეო კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებისათვის, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში გამოიჩენენ წარმატებას და მიაღწევენ უფრო მეტ ოპერატიულობას, დაიწესა ათმა ჯილდო: 1. გარდამავალი დროშა, 2. ფოტოაპარატი და 3. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ათეულიანი გამოცემათა სრულტომეული.

გორის რაიონის, ძირეული პრესის, მუშაკთა და მუშსოფლკორთა შეკრება. სურათზე: გორის რაიგაზეთის „სტალინელის“ რედაქტორი ამხ. ი. მამალაძე შეკრების მონაწილეებს აცნობს გურჯაანის რაიონის მუშსოფლკორთა და რაიონული და ძირეული პრესის მუშაკთა მიმართვას.

გორის რაიონის მოწონებულ მუშსოფლკორები და ძირეული პრესის მუშაკები. სურათზე: ზედა (მარცხნიდან მარჯვ.ივ) — კ. ფაფავა, ს. ბარატაშვილი, ს. მაზბიშვილი, ბ. ტატინაშვილი; შუა — დ. ბედოშვილი, ა. მაკალთია, ე. ელესაშვილი, რ. ურიგაშვილი, შ. მახარამიანი; — ქვედა — ბუკაბაძე, ი. ელბაქიძე, მ. მერაბიშვილი, შ. ბუკაბაძე და გ. ჩიტანავიანი

ფოტო რ. აკოფოვისა

წარმატებით შეეგებოთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი

სიღნაღლელთა მოწოდების საპასუხოდ

სტალინირი („კომუნისტის“ კორ.). სტალინირის რაიონის კოლმეურნეობებში უდიდესი ინტერესით იხილავენ სსრ კავშირის სახელმწიფოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებას.

რაიონში ჩატარდა სტახანოველ კოლმეურნეთა, კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა, საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის მდივნების, მთანგარიშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების შეკრება. შეკრებას 400-მდე კაცი დაესწრო. პარტიისა და მთავრობის 13 მარტის დადგენილებისა და სიღნაღელთა მოწოდების შესახებ შეკრებაზე მოხსენებით გამოვიდნენ საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ცხოვრებოვი და რაიმოწვანის გამგე ამხ. ე. მელქო

.

შეკრების მონაწილენი უდიდესი აღფრთოვანებით მიესალმნენ სსრ კავშირისა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 13 მარტის დადგენილებას და მზარი დაუჭიერეს სიღნაღელთა მოწოდებას.

შეკრებაზე კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს ამხ. მ. ჯიოევმა (ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), გ. ტარიელაშვილმა (სოფ. ბერეულას ცხაკაიას სახელობის კოლშეურნეობის თავმჯდომარე), ბ. დედიკვამ (ზემო-დენბისის კოლმეურნეობა „ვანთაიდის“ თავმჯდომარე), ა. ვალიევმა (სოფ. გოიათაკაუს ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ამხ. მ. ბაციკაძემ (სოფ. ერედვის კაგანოვიის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), და სხვ.

შეკრებამ შიიღო „წინადადება გორის რაიონთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით, რომელიც ამ დღეებში გაგზავნება გორის რაიონს, სტალინირის რაიონი კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს: საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 12 ცენტნერი თავთავიანი კულტურები, 21 ცენტნერი სიმინდი, 100 ცენტნერი კარტოფილი, 60 ცენტნერი ყურძენი, 5½ ტონა ხილი, 200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 1942 წლის ბოლოსათვის უზრუნველჰყოს თვითეული კოლმეურნეობაში მეცხოველეობის საბი ფერმის მოწყობა, თვითეული ძროხაზე წლის განმავლობაში მიიღოს სშუალოდ 800 ლიტრი რძე, თვითეული ცხვარზე 2,8 კილოგრამი მატყლი და სხვ.

3. ტყემალაძე

პირველი წარმატებანი

ბორჯომი („კომუნისტის“ კორ.). სოფ. ცეხისჯვრის მილოთერი კოლმეურნეობა „ნეკა-ზოის“ (ახალი ცხოვრება) წევრები დაუოლავად იბრძვიან პარტიისა და მთავრობის 1941 წლის 13 მარტის დადგენილების განხილვასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. მეძროხეობის ფერმებში 153 ძროხიდან 152 ძროხამ უკვე მოიგო ხბო. მიღებული ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია.

წარმატებით მიმდინარეობს დოლი მეცხვარეობის ფერმაში, უკვე დადოლებულია 132 დედაცხვარი, მიღებული 134 ბატკნიდან შენარჩუნებულია 132. აქ ნამატის მოვლის საქმეში კარგ მაგალითს იძლევიან მომვლელები და მწყემსები: ი. ფიროსმანაშვილი, ზ. ნიკოლაძე, ვ. მარგასტოლელი, ივ. შაინოვი, ვ. ამბარცუმოვი და სხვ.

დოლი დაიწყო აგრეთვე სოფ. ტაძრისის ცხაკაიას „სახელობის“ კოლმეურნეობაში. უკვე მიღებულია 17 ბატკანი. ნამატს კარგად უვლიან ტასო და ოლია შაყულაშვილები.

მიღებულ ნამატს მზრუნველობით უვლიან სოფ. ბაკურიანის კოლმეურნეობაშიც. აქ მიღებული 42 ხბო და 75 ბატკანი შენარჩუნებულია. დახბოიანება და დოლი წარმატებით მიმდინარეობს.

კოლმეურნეები ანადღებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

გრ. ლომიძე

ზაქარია ჩოდრიშვილი

(ბარდაცვალებიდან 25 წლისთავის გამო)

პროლეტარიატის ახალი ტიპის პარტიის მშენებლობის საქმეში კაცობრიობის უდიდესი ბელადები ლენინი და სტალინი ამოაცვლეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროფესიონალურ-ეროლუციონერთა კადრის შექმნას. ბოლშევიკების პარტიამ გამოზარდა შესანიშნავი რევოლუციონერების მთელი პლეადა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს, როდესაც კავკასიაში დიდი სტალინი რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას საძირკველს უყრიდა, ამზადებდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღსავსე საუკეთესო მუშაკებს, პოლიტიკური ბრძოლის სტალინური წრთობის რევოლუციონერებმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს მუშათა მოძძრაობის ისტორიაში. მუშა-ბოლშევიკებს — ზაქარია ჩოდრიშვილს, მიხა ბოჭორიძის, გიორგი თელიას და სხვათა სახელებს იცნობდა რუსეთის მოწინავე პროლეტარიატი. ვ. ი. ლენინს ბევრჯერ აღუნიშნავს კავკასიელი ბოლშევიკების თავგანწირული მუშაობა, რაც ამხანაგ სტალინის სამაგალითო ხელმძღვანელობის შედეგი იყო. ლენინს და ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ გაუწევია კავკასიელი ამხანაგები საპასუხისმგებლო პარტიული დავალებები როგორც რუსეთის ცენტრალურ ადგილებში, ისე მისი საზღვრების გარეთაც.

ზაქარია ჩოდრიშვილი—შეუდრეკელი ბოლშევიკი, გამბედული და მტკიცე პარტიული მუშაკი განსახიერება იყო ყველა იმ ღირსებებისა, რაც ნათელს ჰფენს ბოლშევიკის სახელს. იგი იყო კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გამოჩენილი მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმეს შეალია.

ზაქარია ჩოდრიშვილი დაიბადა 1867 წელს სოფელ ვაქირში (სიღნაღის მაზრა) ღარიბი გლეხის ოჯახში. მამით ადრე დაობლებული ოჯახი უფროსმა ვაჟმა, ცნობილმა რევოლუციონერმა მიხა ჩოდრიშვილმა თბილისში ჩამოიყვანა. წარმოსადგენია, რა გასაჭირნი უნდა ყოფილიყო ოჯახი, როცა 6 წლის ზაქარია თამბაქოს ფაბრიკაში მიაბარეს სამუშაოდ, სადაც ხელფასს კვირაში 15 კაპიკს იღებდა.

1878 წელს ზაქარია შევიდა სამოქალაქო სკოლაში. კურსს წარმატებით დასრულების შემდეგ სახელოსნო სასწავლებელში გადავიდა, სადაც ხალ ბალ გარიცხეს, როგორც მოწაფეთა გაფიცვის ერთერთი მეთაური.

1888 წლიდან ზ. ჩოდრიშვილი თბილისის მთავარ სახელოსნოებში ეწყობა. 1889 წელს ხელმძღვანელობდა მუშების გაფიცვას. ამის გამო ადმინისტრაციამ სამუშაოდან დათხოვა. ამავე ხანებში ფიმეზაურება ბათუმში, მუშობს ტიფლისის ქარხანაში, უკავშირდება ეგნატე ნინოშვილს და მონწილეობს მუშებს. 1892 წელს ზაქარიამ ხელმძღვანელი მონაწილეობა მიიღო ხსენებული ქარხნის მუშების გაფიცვაში. ამის შემდეგ იგი კვლავ ეწყობა თბილისის მთავარ სახელოსნოში.

1896 წელს მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში მოწინავე მუშათა არალეგალური წრე შეიქმნა ზ. ჩოდრიშვილის, მ. ბოჭორიძის, ვ. სტურუას, ნინუას და სხვათა მონაწილეობით. წრე ეცნობოდა მარქსის მოძღვრებას. მისი წევრები უკავშირდებოდნენ სიმეფეო მუშებს და მათ შორის პროპაგანდას აწარმოებდნენ. ამ მუშობისს სწრაფ ხასიათი ჰქონდა. 1898 წელს აღნიშნული წრე ჩაბარა ამხანაგმა სტალინმა და წრის მუშაობა პოლიტიკური ბრძოლის ახალი მეთოდით წარმართა. „მაგონდება, როგორ მიეღე პრაქტიკული მუშაობის გაკვეთილი, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ამხანაგ სტურუას ბინაზე... ზაქრო ჩოდრიშვილის, მიხა ბოჭორიძის, ამხ. ნინუას და თბილისის სხვა მოწინავე მუშების თანდასწრებით... აქ, ამ ამხანაგების წრეში, მე მივიღე საბრძოლო პირველი რევოლუციური ნათლობა“. დიდი სტალინის მიერ გათვითცნობიერებული მოწინავე მუშები მთელი ენერგიით ებმებიან რევოლუციურ მუშაობაში. ზაქარია ჩოდრიშვილი სწავლობს და ამავე დროს აწყობს და ამეცადინებს მუშათა წრეებს. იგი გამორჩეოდა, როგორც ჩინებული პროპაგანდისტი და ორგანიზატორი.

სტალინის წრის წევრებმა პირველი საბრძოლო გამოცდა ჩააბარეს 1898 წელს მთავარ სახელოსნოსა და დეპოს მუშათა გაფიცვებისას, რომელიც ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა. ზაქარიას და მისი ამხანაგების შეუპოვრობა თვითმპყრობელობის შეიარაღებულ ძალებთან შეტაკებისას მაგალითის მიმცემი იყო მუშებისათვის.

განსაკუთრებულია ზაქარია ჩოდრიშვილის მუშობა 1900 წელს ალეგანოს გაფიცვების დროს. იგი ბხარში ედგა დიდ სტალინს და თბილისის ორგანიზაციას, დღედაღამ შეუსვენებლად მუშაობდა. მან იკისრა რკინიგზის მემანქანეებთან და კონდუქტორებთან მოლაპარაკება, რომ მათ მხარი დაეჭირათ გაფიცვისათვის.

1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაციის მზადების დღეებში ამხანაგ სტალინის მითითებით ზაქარია ჩოდრიშვილი, მ. ბოჭორიძე, გ. თელია და სხვები რაზმავენ თბილისის პროლეტარიატს. ლიტერატურის ბეჭდვა, გავრცელება, პარტიული სახსრების საქმე, დროშის დამზადება და სხვ. ზაქარიას უახლოესი მონაწილეობით ეკეთდებოდა. იგი თავის ბინაზე სისტემატურად აწყვევდა სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების მოწინავე მუშებს საპირველმაისო დემონსტრაციის მზადებასთან დაკავშირებით. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მოწყობილი პირველ პოლიტიკურ დემონსტრაციაზე 1901 წლის 22 აპრილს წითელი დროშა მარქსისა და ენგელსის სურათებით პირველად ზაქარია ჩოდრიშვილმა და გიორგი თელიამ აღმართეს.

1901 წლის 11 ნოემბერს თბილისის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის პირველმა კონფერენციამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ზაქარია ჩოდრიშვილი თბილისის კომიტეტის წევრად აირჩია. კომიტეტმა მას დაავალა არალეგალური სტამბის მოწყობა. მასვე ებარა პარტიული ლიტერატურა.

1902 წლის 12 თებერვალს ჟანდარმერიამ დაიპატიმრა თბილისის ორგანიზაციის წევრები. ზაქარია ჩოდრიშვილი კომიტეტის სხდომის დროს მისსვე ბინაზე დაიპატიმრეს.

მეტეხის ციხეში ზაქარია ჩოდრიშვილი კურნალიტოგრაფიულ, ფარანიესეულთან და სხვებთან ერთად მუშაობდა პატიმრების შორის და მჭიდრო კავშირი ჰქონდა გარეთ დარჩენილ ამხანაგებთან. 1902 წლის სექტემბერში ბაქოში დაპატიმრებული ლადო კეკნოვლიანი მეტეხის ციხეში დადაიყვანეს. მათი ხელმძღვანელობით მოხდა პოლიტპატიმართა გაფიცვა.

1903 წლის ზაფხულში ზაქარია ჩოდრიშვილი აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლეს; გადასახლებასთან დაკავშირებით მუშათა გამოსვლებს რომ არ ჰქონოდა ადგილი, ჟანდარმერიამ გადასწყვიტა ისინი გაეფრთხილებლად გაეგზავნა. მიეხედავად ამისა, თბილისის პროლეტარიატის შეგნებულმა ნაწილმა მაინც მოაწყო მათი გაცილება ადგილზე. ამაზე ლადო კეკნოველი თავის ძმას ციხიდან სწერდა: „...ამოთ! — სწერს ამხანაგი სტალინი, — ბერეულაშიელი პუბლიცისტების ტაბლიმა ზღაპრებმა ვერ დაძინა ქართველი პროლეტარიატი! დაერიდებელმა იერიშებმა ქართველი მარქსისტებისა და უფრო კი მედგარმა კლასიერმა შეჯახებამ, რომელმაც ერთ სოციალისტურ რაზმად აქცია რუსი, სომეხი, ქართველი და სხვა პროლეტარები, — თაგზარი დასცა ჩვენს **ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს** და ბრძოლის ველიდან განაძევა.“

1905 წლის ძლევამოსილი რევოლუციის დღეებში ზაქარია ასრულებდა მრავალ პარტიულ დავალებებს. მუშობდა სამხედრო ორგანიზაციაში, ფაბრიკა-ქარხნების მუშებს შორის და სხვ. 1905 წლის მეორე ნახევარში, როცა შეიარაღებული აჯანყება დღის წესრიგში იდგა, ამხანაგმა სტალინმა ზაქარიას დაავალა ქუთაისის ცეხბპაუზიდან იარაღის გამოტანა.

დეკემბრის სახელოვან დღეებში, ზაქარია ბარიკადებზე იპარადოდა ნამალდევში. შემდეგში მისივე ინიციატივით გაკეთდა ძმათა სასაფლაო დეკემბრის დღეებში დაზღილთა ხსოვნის უკვდავსაყოფად.

1906-07 წლებში ზაქარია ხელმძღვანელობდა თბილისის პირველ რაიონს (ახლანდელი ლენინის რაიონი). იგი წევრი იყო თბილისს ბოლშევიკური კომიტეტისა. მონაწილეობდა ბოლშევიკური გაზეთების მუშაობაში. აწყობდა კაფიცვებს (ტრამვაელებისას, თამბაქოს ფაბრიკის მუშებისას). გაიფარებულ ბრძოლას აწარმოებდა მეწმენდეებისა და ყველა ჯურის ლაკეიდატორების წინააღმდეგ.

ზაქარია ჩოდრიშვილს ეგარა ბოლშევიკური ორგანიზაციის არქივი, მთელი არსენალი, რომელიც ნადირთეკვაში მის ბინაზე იყო მოთავსებული. 1908 წლის 13 სექტემბერს პროოკატორ ერიქ-ვის დასმენით არსენალი მეფის მთავრობამ აღმოაჩინა. ზაქარიამ მოასწრო არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა და ბაქოში გაემგზავრა, სადაც დიდი მუშაობა ჩაატარა არალეგალური სტამბების მოსაწყობად. 1909 წელს მეფის ჟანდარკამ ზაქარია დაპატიმრა ბაქოში და თბილისში მეტეხის ციხეში გადმოიყვანა. ჩოდრიშვილებს თითქმის მთელი ოჯახი ამ დროს მეტეხის ციხეში იმყოფებოდა. მიხა ჩოდრიშვილი, მისი მეუღლე — მელანია, ვაჟი — გიორგი და ბორიკლაყირი ზაქარია.

სამხედრო - საველე სასამართლომ ზაქარიას 8 წლის კატორღა მიუსაჯა. ჯანმრთელობაშერყეულს ზაგვინან ნიკოლაევის საკატორღო ციხეში. მიხა ჩოდრიშვილისადმი მიწერილ წერილში ზაქარია ალწერს საკატორღო სამყრობილეს შემაძრწუნებელ სურათს, თავის მძიმე მდგომარეობას და დასძენს, რომ, მიუხედავად ამისა, ის სულით არ დაცემულა და მტკიცედ სწამს პროლეტარიატის გამარჯვება.

1916 წლის 8 აპრილს ზაქარია საკატორღო სამყრობილეში გარდაიცვალა.

○

ამხ. მიხა ცხაკაია ერთერთი მოგონებაში აღნიშნავს, რომ 1907 წელს პარტიის V ყრილობაზე ყოფნისას, „ბაქსიმ გორკემ მას უძღვნა თავისი ახლად გამოსული რომანი „დედა“. მიხა ცხაკაიას მ. გორკის თანდასწრებით ლენინისათვის უამბნია, რომ ასეთი ოჯახი ერთერთი ასეთი ოჯახი იყო ჩოდრიშვილების ოჯახი. ჩოდრიშვილების ბინა ბოლშევიკური ორგანიზაციის კონსპირატიულ ბინას წარმოადგენდა. დედა და მთელი ოჯახის წევრები რევოლუციის საქმეს ემსახურებოდნენ. მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიას შეეძლია გამოზარდოს ასეთი შეუდრეკელი, მთლიანი, მაღალი ზნეობის ადამიანები, რომელნიც ბრძოლა მთელი თავისი სიცოცხლე კომუნიზმის გამარჯვების საქმეს შესწირეს.

ლენა სტურუა

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 5 აპრილი (საკდესი). გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობა იუწყება:

ლიბიის უდაბნოში გერმანიისა და იტალიის მოტორიზებული და ჯავშანსატანკო ნაწილები ენერგიულად მისდევენ კვალდაკვალ მტერს, რომელიც ჩრდილოეთისაკენ იხევს. 4 აპრილს დილაადრიან აღებულ იქნა კირენაიკის მთავარი ქალაქი ბენგაზი.

ინგლისის გემთა ქარავანს, რომლის შემადგენლობიდან 4 აპრილის ცნობის თანახმად, უკვე ჩაძირულია 10 გემი 58 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა, კვლავ დაესხნენ თავს გერმანიის წყალქვეშა ნავები. მათ ჩასძირეს მტრის გემები 48.500 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა. ამგვარად ამ ქარავნის შემადგენლობიდან, რომელსაც ინგლისში დიდი ტვირთი მიჰქონდა, მოსპობილია 18 გემი 106.500 სარეგისტრო ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა. გერმანიის სამხედრო ხომალდმა ოკეანეში ჩასძირა ინგლისის დამხმარე კრეისერი „ვოლტერი" 13.245 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა და ინგლისის ტრანსპორტი „ბრიტანია" 8.799 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა.

გერმანიის ავიაცია თავს დაესხა ინგლისის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს აეროდრომებსა და სანავსადგურო ნაგებობებს. ამ ოპერაციების დროს ჩამოგდებულია მტრის ორი ავიაგამანადგურებელი. გერმანიის ავიაციას ზარალი არ მოსვლია, ლა-მანშის თავზე გამართულ საჰაერო ბრძოლაში მტერმა კიდევ ერთი თვითმფრინავი დაჰკარგა. 4 აპრილს, ღამით, გერმანიის ყუმბარმშენთა დიდმა შენაერთმა კვლავ დაუშინა ყუმბარა ევონმუტის მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებს ბრისტოლის ყურეში. ბომბარდირების შედეგად ბევრგან ძლიერი ხანძარი გაჩნდა. წარმატებით იქნა ბომბარდირებული აგრეთვე გრეიტ-იარმუტის ნავსადგური.

მტრის რამდენიმე თვითმფრინავი თავს დაესხა დასავლეთ გერმანიას. ჩამოყრილი ყუმბარები მინდორში დაეცა და არავითარი ზარალი არ გამოუწვევია. მტერმა სცადა 4 აპრილს შეჭრილიყო ოკუპირებული ზონის ერთერთ ნავსადგურში; ეს ცდა მოგერიებულ იქნა გერმანიის თავდაცვის მიერ. ამასთან გერმანიის საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო ინგლისის სამი ყუმბარმშენი. 1-დან 4 აპრილამდე მტერმა დაჰკარგა სულ 42 თვითმფრინავი. ამავე პერიოდში გერმანიის ავიაციამ 9 თვითმფრინავი დაჰკარგა.

გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წყალზედა ხომალდებმა ჩასძირეს ლა-მანშში, ატლანტის ოკეანესა და სხვა წყლებში მტრის გემები 193.600 სარეგისტრო ბრუტო - ტონა წყალწყვისა. ინგლისის კომუნიკაციის ხაზებზე თვით დასავლეთ აფრიკის სანაპიროებამდე, გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს გემები 325 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა. გერმანიის ავიაციამ მარტში ჩასძირა მტრის სავაჭრო გემები 200 ათასი ბრუტო-ტონა საერთო წყალწყვისა. ამგვარად, მარტში მტერმა დაჰკარგა სავაჭრო გემები 718 ათასზე მეტი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა. მტრის ბევრი სავაჭრო გემები ჩაიძირა გერმანიის სამხედრო - საზღვაო ფლოტისა და ავიაციის მიერ ჩაწყობილი ნაღმებისაგან. ამას გარდა მტრის ბევრი სავაჭრო გემია დაზიანებული ყუმბარებითა და ნაღმებით. მათი ნაწილი შეიძლება აგრეთვე დაღუპულად ჩაითვალოს.

ამერიკის შეერთებული შტატების ნოტა გერმანიისა და იტალიისადმი

ვაშინგტონი, 5 აპრილი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰელი გერმანიისადმი მიმართულ ნოტაში უარჰყოფს გერმანიის მტკიცებას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გემების კონფისკაცია საერთაშორისო სამართლის ან გერმანიის სახელშეკრულებო უფლებათა დარღვევა არის. ნოტაში ნათქვამია, რომ გერმანიის მოთხოვნები გემებისა და მათი ეკიპაჟების განთავისუფლების შესახებ „გაზვიადებულია".

ამერიკის ხელისუფლებამ,—აღნიშნულია ნოტაში, — გერმანიის გემებისა და მათი ეკიპაჟების მიმართ გარკვეული ღონისძიებანი განახორციელა ამერიკის კანონების შესაბამისად, რომლებიც უცხოეთის ან ამერიკის გემს, ანდა გემის ეკიპაჟის ყოველ წევრს ან სხვა პირს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიული წყლების ფარგლებში იმყოფება, პასუხისმგებლობას აკისრებენ გემის წინასწარგანზრახული დაზიანებისათვის ან დაზიანების ნებართვისათვის, ანდა მანქანებისა და სანავიგაციო მოწყობილობის თვითნებური დაზიანებისათვის. ეს კანონები, — ნათქვამია შემდეგ ნოტაში, — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლებს უფლებას ანიჭებენ თვითონ გაუწიონ კონტროლი ყოველ გემს და მოხსნან იქიდან ოფიცრები და ეკიპაჟი, როცა ასეთ ღონისძიებას საჭიროდ დაინახავენ დაზიანებისაგან გემის დასაცავად ანდა იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ დაზიანება ამერიკის შეერთებული შტატების რომელიმე ნავსაყუდელში, ანდა წყლებში.

იტალიისადმი მიმართულ ნოტაშიც ჰელს მოჰყავს ამერიკის კანონები, რომლებიც კრძალავენ ამერიკის წყლებში მყოფი ყოველი გემის დანგრევას და დაზიანებას. ნოტაში ხაზგასმით არის აღნიშნული: ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ იტალიის 27 გემიდან 25 გემი იმდენად ძლიერად არის დაზიანებული, რომ საჭიროა დიდი რემონტი, ისინი ნავიგაციისათვის რომ გამოსადეგი გახდნენ.

ინგლისის ხომალდების გაგზავნა გიბრალტარიდან ხმელთაშუა ზღვაში

ნიუ-იორკი, 5 აპრილი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, იმოწმებს რა ესპანეთის საინფორმაციო სააგენტო მენჩეტას, ლა ლინეადან გადმოგვცემს, რომ გიბრალტარიდან ხმელთაშუა ზღვაში გავიდა ინგლისის 3 ავიოსანი, ერთი კრეისერი, 4 საესკადრო ნაღმოსანი და ერთი დიდი ტრანსპორტი, რომელზედაც იმყოფებიან ინგლისის კოლონიური ჯარები და ფრანგი ჯარისკაცები.

იტალიელებმა უარჰყვეს ინგლისელთა წინადადება მასაუას ნავსადგურის დანებების შესახებ

ლონდონი, 6 აპრილი (საკდესი). როგორც ვიუწყებოდით, ინგლისის სარდლობამ იტალიელებს წინადადებით მიჰმართა დაენებებინათ მასაუა (ნავსადგური მეწამულ ზღვაში). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ იტალიელებმა ეს წინადადება უარჰყვეს.

საომარი ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის აუზში

ლონდონი, 6 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ სამხრეთ აბისინიაში ინგლისის ჯარი განაგრძობს საერთო შეტევას. ამასთან წამოყვანილი ტყვეების რაოდენობა განუწყვეტლად მატულობს. ერიტრეაში ინგლისის ჯარი მთავარი გზით მიიწევს მასაუასაკენ.

4 აპრილს, ღამით, ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ ტრიპოლს. ძლიერი აფეთქება მოხდა მოლის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში. ყაზარმებს შორის რამდენიმე ადგილას ხანძარი გაჩნდა. ყუმბარები მოხვდა სამხედრო საწყობებსა და ელექტროსადგურს. ინგლისის თვითმფრინავები მშვიდობით დაბრუნდნენ.

ლიბიის ფრონტზე გრძელდება ინგლისის ჯარის გეგმაზომიერი კონცენტრაცია.

კირენაიკაში, აჯედაბიის რაიონში და რას-ლინუფიდან მომავალ გზაზე ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მტრის ჯარსა და ავტოტრანსპორტს. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი და დაზიანდა რამდენიმე სხვა თვითმფრინავი, ამასთან ინგლისელებს ზარალი არ მოსვლიათ.

რომი, 6 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ კირენაიკაში იტალიისა და გერმანიის ჯარის ნაწილები განაგრძობენ შეტევას აღმოსავლეთი მიმართულებით.

4 აპრილს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარები ტრიპოლს, არის რამდენიმე დაჭრილი. გამოწვეულია ერთგვარი ზარალი.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში იტალიის წყალქვეშა ნავმა იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის გემების ქარავანზე, ჩასძირა დიდი სავაჭრო გემი და ტორპედი ესროლა კიდევ ერთ გემს. კრეტის კუნძულის დასავლეთით იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს მოწინააღმდეგის გემების მეორე ქარავანს.

ლოიდ ჯორჯის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 5 აპრილი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ 3 აპრილს თემთა პალატაში კამათში გამოვიდა ლოიდ ჯორჯი. მან განაცხადა, რომ ინგლისის არსებობა დამოკიდებულია იმაზე, საკმაოდ უზრუნველყოფილ იქნება თუ არა მეტროპოლიის სოფლის მეურნეობის განვითარება. ლოიდ ჯორჯმა აღნიშნა, რომ, მისი აზრით, 1914-18 წლ. ომში გერმანია, მიუხედავად არაერთი დიდი გამარჯვებისა, დამარცხდა იმიტომ, რომ იგი არ იყო სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილი სოფლის მეურნეობის განვითარების უგულვებელყოფის გამო, როგორც ომამდე, ისე, განსაკუთრებით თვით ომის დროს. რაც უნდა მოხდეს ატლანტის ოკეანეში, სთქვა ლოიდ ჯორჯმა,—ჩვენ შეგვიძლია თავი გადავირჩინოთ ბრიტანეთის კუნძულებზე სოფლის მეურნეობის მაქსიმალური განვითარების გზით.

ომი აფრიკაში

ლონდონი, 5 აპრილი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სარდლობა იუწყება, რომ გრძელდება ინგლისის ჯარის მეწინავე ნაწილების თავმოყრა ლიბიაში. ერიტრეის ფრონტზე წარმატებითი წინსვლის შედეგად გაუწყვეტლივ მატულობს ტყვედ წამოყვანილთა რიცხვი. ასმარაში სამი ათასზე მეტი სამხედრო ტყვე იმყოფება. იმის გამო, რომ იტალიის ჯარმა დაანგრია მასაუაში მიმავალი გზები, ინგლისელთა შეტევა ამ სექტორში დროებით შეფერხებულია. აბისინიაში ოპერაციები წარმატებით მიმდინარეობს ყველა მიმართულებით.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ჯარის მიერ სოროპის დაკავების დაწვრილებითს ცნობებს. სააგენტო აღნიშნავს, რომ სოროპა დაიკავა იაველოს მხრივ მოქმედმა კოლონამ. ამ პუნქტის დაკავებისას ტყვედ წამოყვანილია 27 იტალიელი, მათ შორის ერთი ბრიგადის გენერალი და ადგილობრივ მოსახლეობიდან გაწვეული 350 ჯარისკაცი. მტერს მოუკლავთ 50 კაცი. ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი და 15 ტყვიამფრქვევი. ხარარის მხრივ მოქმედი ჯარი მდინარე ავაშს უახლოვდება. 2 აპრილს ინგლისელებმა დასძლიეს ამ რაიონში მტრის ქვეითი ჯარისა და არტილერიის წინააღმდეგობა და ტყვედ წამოიყვანეს 500 იტალიელი.

იტალიის ცნობა

რომი, 5 აპრილი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის ცნობას:

საბერძნეთის ფრონტზე, მე-9 არმიის განლაგების სექტორში ადგილობრივი ხასიათის მოქმედება იყო. იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დააყარეს მტრის თავმოყრილ ჯარსა და კორფუს ნავსადგურში მდგომ გემებს. ჩაძირულია ორი გემი: ერთი 8 ათასი და მეორე 3 ათასი ტონა წყალწყვისა.

კირენაიკაში იტალიისა და გერმანიის ჯარმა გუშინ ბენგაზს მიაღწია და თავისი მოტომექანიზებული ნაწილები გაგზავნა წინ. 3 აპრილს, ღამით, მტერი კვლავ დაესხა თავს ტრიპოლს და რამდენადმე დააზიანა საცხოვრებელი შენობები. იტალიის ავიაგამანადგურებელთა ერთი შენაერთი უეცრად დაესხა თავს ჰერაკლიონის საჰაერო ბაზას (კრეტის კუნძული) და მოსპო ერთი თვითმფრინავი, ხოლო ბევრი სხვა დააზიანა. იტალიის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

აღმოსავლეთ აფრიკაში ფრონტის სხვადასხვა უბანზე იტალიელები კვლავ უწევენ მტერს წინააღმდეგობას. მტრის მიერ საჰაერო ბომბარდირების შედეგად მეწამულ ზღვაში ჩაძირულ იქნა იტალიის პატარა ხომალდი. იმავე ტიპის ორი სხვა ხომალდი ეკიპაჟებმა ჩასძირეს ჯედის რაიონში.

ინგლისის ჯარი ადის-აბებაში შევიდა

ლონდონი, 6 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის საიმპერიო ჯარის მეწინავე რაზმები ადის-აბებაში შევიდნენ.

ადის-აბება 1893 წლიდან აბისინიის დედაქალაქი იყო. იტალიის მიერ 1936 წელს აბისინიის დაპყრობის შემდეგ ადის-აბება მთავარი ქალაქია იტალიის აღმოსავლეთ აფრიკისა, რომელშიც შედიან ერიტრეა, აბისინია და იტალიის სომალი. ქალაქი მდებარეობს 2.460 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან და წარმოადგენს აბისინიის ერთადერთი რკინიგზის — ადის-აბებიდან ჯიბუტის ნავსადგურამდე მიმავალი გზის ბოლო პუნქტს.

ქალაქი გზატკეცილების საკვანძო ცენტრია. ამ გზატკეცილებიდან უმნიშვნელოვანესნი ასმარისა და ხარარისაკენ გადის.

ადის-აბებაში 160.000 მცხოვრებია.

ადის-აბება აბისინიის შინაური და საგარეო ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენს.

6 აპრილი (საკდესი).

ინგლისის ჯარმა დაიკავა ადუა

ლონდონი, 5 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს შემდეგს ცნობას: „ინგლისის საიმპერიო ძალებმა დაიკავეს ქალაქი ადუა, რომელიც აბისინიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს".

ინგლისის გენერლების ჩასვლა ანკარაში

ლონდონი, 5 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, რომ გუშინ იქ ჩავიდნენ გენერალ-მაიორი კრეი, რომელიც სარდლობდა ინგლისის მექანიზებულ შენაერთებს ლიბიაში მათი შეტევის დროს, აგრეთვე გენერალი პოლოკი. ანკარაში იმყოფებიან აგრეთვე ინგლისის ახლო აღმოსავლეთის ძალთა სარდლობის წარმომადგენელნი გენერალ-ლეიტენანტი მარშალ—კორნუოლი, ავიაციის ვიცე-მარშალი ელმჰერსტი და ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის მთავარსარდლის პირადი წარმომადგენელი ადმირალი კელი.

დაიწყო კომკავშირელთა მასობრივი შეჯიბრება ტანვარჯიშში

შეჯიბრება დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობს

საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში რესპუბლიკის რაიონებიდან მიღებული ცნობებიდან ირკვევა, რომ 6 აპრილს კომკავშირულ ტანვარჯიშში შეჯიბრება ყველგან დიდი აღფრთოვანებით და ენთუზიაზმით შეუდგნენ მასობრივ შეჯიბრებას. შეჯიბრების მარტო პირველ დღეს, 6 აპრილს, რესპუბლიკის რაიონებში არსებულ სასპორტო დარბაზებში, ფიზკულტურულ მოედნებზე და სტადიონებზე ტანვარჯიშში შესაჯიბრებლად გამოვიდა 50.000-მდე კომკავშირელი.

ტანვარჯიშულ შეჯიბრებებს ყველგან დიდძალი მაყურებლები ესწრებოდნენ.

სპორტული თვალსაზრისით შეჯიბრებები დიდი წარმატებით მიმდინარეობდა ტყიბულში, ცხაკაიაში, მახარაძეში, ფოთში, აბაშაში, წალენჯიხაში, ბაშკიჩეთსა და ბორჯომში.

ტყიბულში შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო და ნორმები ჩააბარა 350 კომკავშირელმა, აბაშაში—280, წალენჯიხაში—835, მახარაძეში—563, ბორჯომში—441, ბაშკიჩეთში—490 და ა. შ.

შეჯიბრებისათვის მზადების პერიოდში რაიონებში გაიზარდა სწრაფვა ყოველდღიური ტანვარჯიშისადმი.

თბილისში ტანვარჯიშულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 9.031 კომკავშირელი

ტანვარჯიშში კომკავშირელთა მასობრივი შეჯიბრების დაწყების პირველ დღეს, 6 აპრილს, თბილისში შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 9.031 კომკავშირელმა, აქედან „დაჭერის" ტიპის ვარჯიშში ნორმები ჩააბარა 8.894 კაცმა, სიმაღლეზე ხტომაში—4.553, სამჯიდში—3.160, წონასწორობაში—8.073 და ბაგირზე ცოცვაში 6.417 კომკავშირელმა ტანმოვარჯიშემ.

ცალკე რაიონების მიხედვით შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ლენინის რაიონში—920 კომკავშირელმა, სტალინის რაიონში—2.100, ორჯონიკიძის რაიონში—2.803, კიროვის რაიონში—110, ბერიას სახელობის რაიონში—1.720, მოლოტოვის სახელობის რაიონში—730 და 26 კომისრის სახელობის რაიონში 648 კომკავშირელმა-ტანმოვარჯიშემ.

კომკავშირელთა დიდი სპორტული საღამო ცირკში

7 აპრილს თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა თბილისელ კომკავშირელთა დიდი სპორტული საღამო, მიძღვნილი კომკავშირელთა შორის ტანვარჯიშში დაწყებული მასობრივი შეჯიბრებისადმი. საღამოს ინიციატორები იყვნენ საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტი.

საღამოს 8 საათისათვის ცირკის მრავალადგილიანი დარბაზი აივსო კომკავშირელთა მოწინავე წარმომადგენლებით. 3.000-მდე კაცმა მოიყარა ამ საღამოს ცირკში თავი.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ცქიტიშვილმა, რომელმაც სიტყვა მოხსენებისათვის მისცა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ა. მირცხულავას.

ამხ. ა. მირცხულავამ აღნიშნა ამჟამად კომკავშირელთა შორის მიმდინარე მასობრივი შეჯიბრების მნიშვნელობა ფიზკულტურის შემდგომი აღმავლობისა და კომკავშირელთა შორის თავდაცვითი მნიშვნელობის სპორტის შემდგომი წარმატებისათვის. მან ჩამოთვალა ტანვარჯიშში მიმდინარე შეჯიბრების ამოცანები და სთქვა, რომ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციებს ვალია იბრძოლონ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

— შეჯიბრების პირველმა დღემ, —სთქვა ამხ. ა. მირცხულავამ, — დაგვანახვა, რომ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები დიდი ხალისითა და ენთუზიაზმით ჩაებნენ ტანვარჯიშში. საქართველო მდიდარია გამოცდილი და დახელოვნებული ტანმოვარჯიშეებით. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ პირველ ადგილზე გამოვიდეთ ამ შეჯიბრებაში და სრული გამარჯვება მოვიპოვოთ მომმე აზერბაიჯანის კომკავშირელებთან უკვე გამართული სოციალისტურ შეჯიბრებაში.

დასასრულ ამხ. მირცხულავამ მოუწოდა კომკავშირელებს გააღრმაონ ახალგაზრდობაში ლტოლვა და სიყვარული სპორტისადმი, არ დასტოვონ არცერთი კომკავშირელი, ჩააბან ყველა კომკავშირელი ტანვარჯიშულ შეჯიბრებაში და იბრძოლონ ტანვარჯიშში პირველობისათვის.

თავის მოხსენება ამხ. მირცხულავამ დაამთავრა შეძახილით საბჭოთა ფიზკულტურელების საუკეთესო მეგობრის დიდი სტალინის და მისი უახლოესი მოწაფის ამხანაგ ბერიას პატივსაცემად.

ამხანაგ სტალინისა და ბერიას სახელის ხსენებისას იგრიალა ტაშმა. გაისმოდა შეძახილები დარბაზის ყოველი კუთხიდან: „გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს", „ამხანაგ ლავრენტი ბერიას—ფიზკულტ—ვაშა!" დიდხანს გაგრძელდა ოვაციები და ტაში.

ამით დამთავრდა საღამოს შესავალი ნაწილი. შემდეგ გაიმართა თბილისის ახალგაზრდობის ტანვარჯიშულ-სპორტული მიღწევების დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბერიას სახელობის ფიზკულტურის ტექნიკუმის და განათლების სახალხო კომისარიატის სპორტული სკოლის მოწაფეებმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა და ტანვარჯიშის ოსტატებმა.

საღამომ კარგად ჩაიარა.

სრულიად-საარმიო შეჯიბრება

12-დან 15 აპრილამდე მოსკოვთან იქნება IV სრულიად-საარმიო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სატყვიამფრქვეო სროლის 100 ოსტატზე მეტი.

მოსკოვს უკვე გაემგზავრა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდი, რომელიც 6 კაცისაგან შესდგება. გუნდში შედიან: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 1940 წლის ჩემპიონი სატყვიამფრქვეო სროლაში ამხ. ზრავლიოვი და ამხანაგები: ბლიზნიუკი, შატოხინი, ბორარჩიკო, პოლიაკოვი და კაპალკინი. (საქდესი).

ფეხბურთი

ლენინგრადი—თბილისი

6 აპრილს, ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა ლენინგრადისა და თბილისის „დინამოს" საწვრთნელი გუნდების ამხანაგური მატჩი, რომელსაც 20 ათასამდე მაყურებელი დაესწრო.

თავიდანვე საინტერესო თამაში გაიმართა. ორივე გუნდი ტემპიანად თამაშობს. უკვე პირველი 15 წუთის განმავლობაში ორივე მხარემ დაჰკარგა ანგარიშის გახსნის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა. სტუმრების მიერ შესრულებული პირველ პენალტის ... ნალტიდან" იქნა გატანილი) უპასუხა და ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისის „დინამოს" სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ლენინგრადელებმა, რომელიც 10 კაცით (ერთი მოთამაშე შეხლაპარაკების გამო მოედნიდან იქნა გაძევებული) შემადგენლობით თამაშობდნენ, კარგად გამოიყენეს „პენალტი" და ანგარიში გაათანაბრეს. მატჩის უკანასკნელ წუთებში მ. ბერიძე შედგა ძლიერი და ზუსტი დარტყმით გაიტანა გადამწყვეტი ბურთი.

მატჩის საბოლოო შედეგია 3:2 თბილისელთა სასარგებლოდ.

თბილისი. ლენინგრადისა და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე. სურათზე: თამაშის მომენტი თბილისის „დინამოს" კართან.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სახელმწიფო სესხი

წაუგებელი გამოშვება

მოგებათა მეცამეტე ტირაჟის საცნობო ცხრილი

სერიებისა და ობლიგაციების ნომრებმა, რომლებიც ნაჩვენებია ცხრილში, მოიგო სესხის წაუგებელი გამოშვების ყველა 53 თანრიგში.

მოგების თანხაში შედის მომგებიანი ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების თანხა მან.	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების თანხა მან.	სერიების №№	ობლიგაციების №№	მოგების თანხა მან.
20076	1—50	200	27281	16*)	500	32753	47*)	1.000
20727	22*)	500	27705	04*)	500	32900	1—50	150
20923	07*)	500	27770	45*)	500	33060	13*)	500
21128	1—50	200	28014	1—50	150	34038	10*)	500
21712	1—50	200	28199	17*)	500	34160	1—50	200
21793	21*)	500	28299	1—50	150	34619	1—50	200
21952	37*)	500	28409	27*)	500	34826	1—50	150
22077	46*)	500	28489	1—50	150	35092	44*)	500
22182	1—50	150	28588	1—50	150	35444	1—50	150
22205	22*)	500	28663	1—50	150	36245	1—50	150
22259	1—50	150	28675	39*)	500	36398	1—50	150
22830	12*)	500	28756	49*)	500	36432	38*)	500
23007	1—50	150	28769	48*)	500	36521	1—50	150
23141	47*)	500	28940	1—50	150	36729	18*)	500
23245	1—50	150	29017	1—50	150	36764	1—50	150
23277	19*)	500	29104	41*)	500	36865	07*)	500
23302	19*)	500	29309	1—50	150	36884	1—50	150
23627	1—50	150	29367	01*)	500	36988	1—50	150
23690	50*)	500	29430	28*)	500	37126	02*)	500
23899	1—50	200	29551	44*)	500	37296	1—50	200
24179	02*)	500	29725	1—50	150	37356	1—50	200
24469	1—50	150	29742	1—50	150	37367	1—50	200
24604	1—50	200	29750	13*)	500	37744	1—50	150
24629	1—50	150	29773	1—50	150	37820	27*)	1.000
24803	1—50	150	29786	1—50	200	37824	1—50	150
24893	32*)	500	29914	01*)	1.000	38002	35*)	500
24960	44*)	1.000	30059	21*)	500	38082	41*)	500
25105	1—50	150	30318	1—50	200	38254	38*)	500
25131	1—50	150	30328	17*)	500	38264	1—50	200
25666	49*)	500	30441	35*)	500	38382	1—50	200
25826	1—50	150	30465	1—50	200	38398	1—50	150
25828	1—50	150	30468	1—50	150	38541	1—50	200
26353	47*)	500	30786	10*)	500	38724	1—50	150
26439	38*)	500	31094	36*)	500	38957	20*)	500
26547	1—50	150	31364	1—50	150	39138	1—50	150
26599	49*)	500	31375	1—50	150	39179	15*)	3.000
26709	1—50	200	31601	1—50	200	39500	1—50	150
26721	28*)	1.000	31943	1—50	200	39834	1—50	200
26790	47*)	500	32171	1—50	150	39907	33*)	500
26795	1—50	150	32725	17*)	500			
26940	26*)	500	32736	1—50	150			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენმა 49 ნომერმა მოიგო 150 მან.

ალპინისტების თბილისის საქალაქო კონფერენცია

5 აპრილს, შესდგა ალპინისტების თბილისის საქალაქო კონფერენცია, რომელსაც 200-ზე მეტი ალპინისტი დაესწრო. კონფერენციაზე ალპინისტური მოძრაობის მიმდინარე ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. ალპური კლუბის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ქ. ჯავრიშვილი. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ჯაფარიძემ, ა. გვალიამ, დ. წერეთელმა, გ. ბაქრაძემ და სხვ. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ალპინისტური მოძრაობის დამაბრკოლებელ მიზეზთა თავიდან აცილებისათვის ჯერ კიდევ არ არის მიღებული სათანადო ღონისძიებები არც ალპური კლუბისა და არც სხვა სათანადო ორგანიზაციების მიერ. მთავარი დაბრკოლება კი არის ალპინისტური ხელსაწყოებისა და საჭურვლის სიმცირე. გარდა ამისა აღინიშნა, რომ სუსტია კონტროლი ნებაყოფლობითი სასპორტო ორგანიზაციების მუშაობაზე ალპინიზმის დარგში.

ალპინისტური მოძრაობის უკეთ ხელმძღვანელობის მიზნით და თბილისის ნებაყოფლობითი სასპორტო ორგანიზაციების მუშაობისადმი მეთვალყურეობის გაძლიერებისათვის, განსაკუთრებით ალპინიზმის დარგში, კონფერენციამ გადასწყვიტა ჩამოყალიბებულ იქნას თბილისის ალპინისტური სექცია, რომელშიაც 21 კაცია არჩეული.

საქართველოს ალპინისტების კონფერენციაზე, რომელიც 19 აპრილს არის მოწვეული, კონფერენციამ 30 დელეგატი აირჩია.

ლექცია

8 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ბერიას სახელობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში პროფ. **ათაბეგოვი** რუსულ ენაზე წაიკითხავს ლექციას. თემა: **„ბალკანეთის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიური მიმოხილვა".**

ბილეთები იყიდება კულტსახლის სალაროში საღამოს 6 ს.

რადიოგადაცემა დღეს

12.00 — ქართველი კომპოზიტორების საბალეტო მუსიკის კონცერტი; 12.58 — დროის შემოწმება; 13.00 — უკანასკნელი ცნობები; 13.15 — კონცერტი; 14.15 —ხალხური მუსიკის კონცერტი; 14.45—კონცერტი; 16.50 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.00 —გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე: „თეფური და მისი რაზმი"; 18.00—კონცერტი; 18.58 — დროის შემოწმება; 19.00—უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ და რუსულ ენებზე; 19.30—კონცერტი საჩრდილო კომიტეტის ეთნოგრაფიული ანსამბლის შესრულებით ბაზილაძის ხელმძღვანელობით; 20.00—უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება; 20.30—კონცერტი; 21.00—მუსიკალური ანტრაქტი; 21.15—საუბარი თემაზე: „ესპანეთის ომი" ქართულ ენაზე; 22.00 — უკანასკნელ ცნობათა ტრანსლაცია მოსკოვიდან; 22.05 — კონცერტის ტრანსლაცია ბაქოდან; 00.10 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება ქართულ ენაზე; 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (მოსკოვიდან).

მუშსოფლკორთა კაბინეტში

9 აპრილი — საღამოს 8 საათზე მოხდება თბილისის მრავალტირაჟიანი გაზეთების „ჩვენი საყვირის", „ბიუგელის", „ფეიქარის", „სტახანოველის" და „თბილისის მაუდელის" ახლად არჩეული სარედაქციო კოლეგიების წევრთა შეხვედრა მუშაობის გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით.

10 აპრილი — მოეწყობა სტალინური პრემიის ლაურეატების — ორდენოსანი მწერლის ლეო ქიაჩელისა და ორდენოსანი პოეტის გიორგი ლეონიძის შეხვედრა ძირეული პრესის მუშკორთა და მუშკორთა აქტივთან.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პ/მგ. მდივანი ამხ. ირაკლი აბაშიძე გააკეთებს მოხსენებას ლეო ქიაჩელისა და გ. ლეონიძის შემოქმედების შესახებ, რის შემდეგ ამხ. ლ. ქიაჩელი და გ. ლეონიძე დამსწრეებს გაუზიარებენ თავიანთი შემოქმედებითი მუშაობის მეთოდებს.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

8 აპრილს, საღამოს 7 საათზე, გაზ. „კომუნისტის" რედაქციის მუშსოფლკორთა კაბინეტში (ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული, ოთახი 17) შესდგება რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა გადასამზადებელი კურსების მსმენელთა

მორიგი მეცადინეობა

დასწრება სავალდებულოა პარტრაიკომების მიერ შერჩეული ამხანაგებისათვის.

გაზ. „კომუნისტის" რედაქცია

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „დაისი" (მე-7 აბ. მე-11 წარმ.), რუსთაველის სახელობის — „უკანასკნელი რაინდი", მარჯანიშვილის სახელობის — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი". მუსკომედია — „თიკა და ავი ძაღლი", სანკულტურის ქართული თეატრი — „სინანული".

კინოებში: რუსთაველის სახ., ოქტომბერი, დამკვრელი და 26 კომ. სახ.— „მეგობრობა", კომკავშირელი—„დიდი ვალსი", სპარტაკი—„ფიქრი კაზაკ გოლოტაზე", დღისით — „თოფიანი კაცი", ლუქსემბურგის სახ. — „ვალერი ჩკალოვი". ბერიას სახელობის კულტურის სახლი — „პარტიული ბილეთი", კომინტერნი — „მეგობრობა", განთიადი— „კონცერტი-ვალსი", წითელი არმიის სახლი — „მშვენიერი ვასილისა". ვოროშილოვის სახელობის კლუბი — „წმინდა იორგენის დღესასწაული", მეცნიერება და ცოდნა — „საბჭოთა ლვოვი" და სხვ., ნავთლუღის რკინიგზის კლუბი — „ტარასის ხმა".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

8 აპრილს	9 აპრილს	10 აპრილს
მე-7 აბ. მე-11 წარმ.	მე-2 აბ. მე-13 წარმ.	მე-3 აბ. მე-13 წარმ.
დაისი	**ბაღჩისარაის შადრევანი**	**ლალე კესხოველი**

დასაწყისი საღამოს 8 ს.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი 1940-41 წ. წ. სეზონი

8 აპრილს — **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**

9 აპრილს — **მარგარიტა გოტიე**

დასაწყისი სად. 8 ს. და 30 წ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1940-41 წ. წ. სეზონი

8 აპრილს — **უკანასკნელი რაინდი**

9 აპრილს — **გიორგი სააკაძე**

დასაწყისი სად. 8 ს. და 30 წ.

და ელენე, სიძე გედეონ, დისწულები თამარ ქმარშვილით, ქეთო, ლეო წერეთლები იუწყებიან **ლეონ (სარდიონ) ალექსის-ძე ქურციკიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/IV აბასთუმანში. 11417

შვილები სეფე, ვანო, დონი, თეო, ანია ლეკიშვილები იუწყებიან **ალათის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/IV 7 ს. გამოსვენება 9/IV 6 ს. კრილოვის, 15, კუკიის სასაფლაოზე.

სიძე მაკარი ცოლშვილით, შურა, ნადია, ლევან, დედიმო, ეთერ, ბარბაქაძეები, კოლია ბეშენცევი, მიშა მჭედლიძე იუწყებიან **კონსტანტინე აბრამის-ძე გახარიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/IV 7 ს. ღამის, 9. 11412

ბიძები ტიტიკო, დათიკო, კოწია კუტუბიძეები ცოლშვილით, დეიდა მარო ჩახვაძე შვილით კატუშათი იუწყებიან **ოლია წილოსანი-კვაჭაძის** გარდაცვალებას, დაკრძალვა ლანჩხუთში 8/IV. 11413

ლანჩხუთის პარტრაიკომის მუშაკები იუწყებიან **რეზო ჩხაიძის** გარდაცვალებას. 11400

პროფ. მ. ნოდია, ბ. ბალავაძე, მ. აბაკელია, ვ. კებულაძე, გ. ფრანგიშვილი, გ. თვალთვაძე, ვ. კაპიანიძე, შ. ჩხენკელი იუწყებიან **ვარდენ გრიგოლის-ძე ბუხნიკაშვილის** გარდაცვალებას. 11407

ქმარი ვახტანგ, შვილი ელისო, მაზლები ნიკო, შაბური ცოლშვილით იუწყებიან **ლუბა ჯილაური-შაბურიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/IV 6 ს. ტატიანოვის, 7, კუკიის სასაფლაოზე. 11418

შვილები ვარლამ იოსებ, ლეო, გიორგი ცოლშვილით, ნადია, ფაცია, ალივერნა ქმარშვილით იუწყებიან **რებეკა მიხეილის-ასულ ტოლოშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 8/IV, ორჯონიკიძის, 87. 11421

მეუღლე ალექსანდრა, შვილები ნინო, ნადია, ვლადიმერ, პავლე, ვერა, რძალი ლუბა, შვილიშვილები შოთა, ზურაბ იუწყებიან **ისმაილ პავლეს-ძე გოგოლაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/IV ქუთაისში. 11416

მარიამ შვილებით ნიკოლოზით, პეტრეთი, გიორგით, რძლით თინათინით, შვილიშვილით ვახტანგით იუწყება შვილის და რძლის **კონსტანტინე (კოტე) და კლავდია მახარაძეების** გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV 6 ს. ვახუშტის, 55, კუკიის სასაფლაოზე. 11415

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეო — 3—73—40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის —3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

აწყობილი და მატრიცირებულია ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატ „კომუნისტში", თბილისი, ლენინის ქ. № 28; დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკაში", რუსთაველის პროსპექტი № 36. უე 18138